ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პროკურატურამ შსს-ს თანამშრომელი დააკავა

გვ.7

„21 ივნისს მან აქციის ორ მონაწილეს დაზიანებები მიაყენა“

16 ივლისიდან

ელეონორ პორტერი

პოლიანა

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ოთხშაბათი, 17 ივლისი, 2019 №167 (8121) ფასი: 60 თეთრი

„სააკაშვილი აქციებს ივანიშვილის დაკვეთით არბევდა“

გვ.2

ლაშა ჩხარტიშვილი: „ოლიგარქმა რეპრესიები დაიწყო“

„გახარიასა და ბიძინას მალე ბალანდის ჭამა მატროსოვზე ერთად მოუნევთ“

გვ.5

ლია მუხაშავრია: „რუსთავი 2“-მა „ოცნება“ ანკესზე წამოაგო“

მოხსნის თუ არა გახარია საბანაძეს?

გვ.3

იურისტების აზრით, შს მინისტრის მოადგილემ, ფაქტობრივად, გახარიას წინააღმდეგ მისცა ჩვენება და ის სისხლის სამართლის დანაშაულში ამხილა

ვისთან ერთად აპირებს ივანიშვილი კოალიციური მთავრობის შექმნას

გვ.3

გვ.4

სოსო ცისკარიშვილი: „თავისუფლება ბიძინა ივანიშვილს!“

ნუკრი ქანთარია: „ნაციონალებთან და ევრონაცებთან კოალიციაში არასდროს შევალთ“

გვ.3

სამართალი

გვ.7

„რუსთავი 2“-ის მეწილე ნინო ნიქარაძემ ნიკა გვარამიას პროკურატურაში უჩივლა

თბილისში მშენებარე კორპუსიდან არასრულწლოვანი მუშა გადმოვარდა და დაიღუპა

თამარ მეფის ხიდიდან მამაკაცი გადახტა

ეკონომიკა

გვ.6

შემოდგომაზე ქართული ზეთისხილის პროდუქცია დუბაის კარფურის ქსელში გაიყიდება

მარიამ ქვრივიშვილი: „2019 წელს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას რუსეთის ბაზარზე არც ერთი თეთრი არ დაუხარჯავს“



თამარ მეფის გამზირიდან გმირთა მოედნის მიმართულებით მოძრაობა 200 დღით შეჩერდება

გვ.2

ISSN 1987-9385

5 ჯემალ გამახარია: „პუტინმა საქართველოს ისტორიის დამახინჯებით თავისი გეგმა გაამქღავნა“

6 ბახტაძე: „პენსიონერები და შშმ პირები წამლებს ერთ ლარად იყიდიან“

4 ასლან ბჟანია საარჩევნო მარათონს ჩამოშორდა

5 ჭიდაობის ფედერაციამ „ოცნების“ დეპუტატის დის სასტუმროს 1.6 მილიონი გადაურიცხა

„სააკაშვილი აქციებს ივანიშვილის დაკვეთით არბევდა“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ოლიგარქმა რეპრესიები დაიწყო“

შორენა მარსაგიშვილი

„გახარიასა და ბიძინას მალე ბალანდის ჭამა მატროსოვზე ერთად მოუწევთ“

რა ხდება დავითგარეჯის მიმართულებით, უკავშირდება თუ არა იქ სიტუაციის გამწვავება რუსთაველზე მიმდინარე პროცესებს, რა გარიგებაშია ივანიშვილი ალიევთან და პუტინთან, დაიწყო თუ არა საქართველოში რეპრესიები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი **ლაშა ჩხარტიშვილი** ესაუბრება.

– რუსთაველზე მიმდინარე ანტისაოკუპაციო აქციების ფონზე მოულოდნელად გამწვავდა ვითარება დავითგარეჯის მიმართულებით. არის მოსაზრება, რომ ეს დროებით მინავლებული დაძაბულობა ხელისუფლებამ ყურადღების გადასატანად გააღვივა.

– ამ ხელისუფლებისგან ყველაფერი მოსალოდნელია, ისინი ყველაფერს იკადრებენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ყურადღების გადასატანად არ მომხდარა.

დავითგარეჯის მიმართულებით ბევრად უფრო ადრე დაიძაბა სიტუაცია, ვიდრე რუსთაველზე გამოსვლები დაიწყებოდა.

დღეს საქართველოს ორი მოქმედი ოკუპანტი ჰყავს – რუსეთი და აზერბაიჯანი. ბიძინა ივანიშვილი ქვეყანას ყველა მსურველზე ყიდის. ამჯერად ის რუსეთთან და აზერბაიჯანთან არის გარიგებაში შესული.

ქართული მიწების ოკუპაციას ისიც ახორციელებს. გარდა იმისა, რომ ლარად ყიდულობს მიწებს, უზარმაზარი ტერიტორიები გადათხარა, ტყეები გაგვიჩეხა, საყდრისი აგვიფეთქა.

იმისთვის, რომ მისი გამყიდველობა არ გამომჟღავნდეს, ოლიგარქი ნელ-ნელა ყიდის გარეჯს. უცბად რომ გადასცეს აზერბაიჯანელებს ეს ისტორიული მემკვიდრეობა, ხალხი მას ჩამოაგდებს, ამიტომ პაუზებით აკეთებს თავის საქმეს.

ამ პაუზებით მან უკვე იმდენი გააკეთა, რაც კომუნისტებსაც კი არ გაუკეთებიათ. სერგო ორჯონიკიძემ აზერბაიჯანულ მხარეს ბევრი რამე გადასცა, მაგრამ ჩიჩხიტური მასაც კი არ გაუყიდია. არც უდაბნოს მონასტერს შეხებია ორჯონიკიძე.

წლების მერე ხელისუფლება ხელში ჩაიგდო მისმა სულიერმა მემკვიდრე ივანიშვილმა, რომელიც საქართველოს ტერიტორიებს ყველა მსურველზე ყიდის.

ჩიჩხიტურის ამბავში წინა ხელისუფლებაც დამნაშავეა, მაშინ შეიქმნა პირველად პრობლემები. მათ დროს დაწყებული საქმე დაასრულა ივანიშვილმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო სააკაშვილის თანამოაზრე. მათ ერთად ბევრი საქმე აქვთ გაკეთებული.

– ესენი ისევ ერთად ხომ არ არიან? რაღაც იმ მეთოდების გამოყენება დაიწყო „ოცნებამ“, რასაც ნაციონალები იყენებენ.

– ახლანდელი გადმოსახედიდან რომ ვუყურებ, სწორედ ივანიშვილი უკვეთდა სააკაშვილს ტერიტორიების გასხვისებასა და დარბევებს. მათი ხედვები ძალიან ბევრ საკითხში ემთხვევა ერთმანეთს.

ესენი რომ ერთად არიან, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ წინა ხელისუფლებიდან არავინ დაუსჯიათ. ერთადერთი ვინც დაისაჯა, ეს არის ვანო მერაბიშვილი. სათანადოდ არც ის დასჯილა.

სამწუხაროა, რომ დავითგარეჯის ოკუპაციას, ლეიბორისტული პარტიის გარდა, არც ერთი პარტია არ აპროტესტებს. ეს ასევე იძლევა ეჭვის საბაბს.

– რატომ მხოლოდ ლეიბორისტები? ეს ამბავი პატრიოტთა ალიანსმაც გააპროტესტა.

– ჯობდა, არ გაეპროტესტებინათ. ისინი ასრულებენ ივანიშვილის დაკვეთას და სინამდვილეში რუს პატრიოტებს წარმოადგენენ, ყველა თემას იყენებენ იმისთვის, რომ რუსული ოკუპაცია „გააპრავონ“.

მათ გაამართლეს გავრილოვის სპიკერის სავარძელში ჩასმაც. არადა, ეს, იცით, რამხელა ამბავია? ჩათვალეთ, რომ საქართველოს პარლამენტში რუსული დროშა ააფრიალეს.

– ამ შეფასებით ზაქარია ქუცნაშვილი ძალიან აღშფოთებულია. ის ამბობს, სპიკერის სკამი წმინდა ადგილი ხომ არ გგონიათო.

– ამ ადამიანზე რა გიპასუხოთ. მსოფლიო პარლამენტარიზმის ისტორიაში ის გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დეპუტატი. ის მამამისთან ერთად არის ფულზე გადარეული. მამა ჰესების „გაპრავების“ საქმეშია ჩართული, როგორც ექსპერტი. თავად ქუცნაშვილს აღბათ მშენებლობაში აქვს წილი. ფულის გულისთვის ის სინდისსაც გაყიდის და სამშობლოსაც.

ამ ფულზე გადარეულს ვერაფერს შევაგნებინებ, უბრალოდ, მინდა, ხალხს ვუთხრა, რომ აქ სიმბოლოებზეა საუბარი და არა იმაზე, პარლამენტის თავმჯდომარის სკამი წმინდა ადგილია თუ არა.

პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე ბევრი უღირსი ადამიანი მჯდარა, ახლაც უღირსი ზის – ივანიშვილის კარის პოეტი თალაკვაძე. მიუხედავად იმისა, რომ ამ სკამზე ბევრი უღირსი მჯდარა, სპიკერის სავარძელი ერთგვარი სიმბოლოა ქართული სახელმწიფოებრიობის.

ამიტომ არ შეიძლება იქ ოკუპანტების დასმა. ივანიშვილი თავის შუშის სასახლეში თუ დასვამს პუტინის ხელის ბიჭებს, ამას არავინ გააპროტესტებს. არც იმაზე ამოვიღებთ ხმას, შუშის სასახლეში თუ რუს ოკუპანტებთან ერთად ჩაისა და ყავას დალევს.

– ალბათ უფრო – სტაფილოს წვენს.

– რაც უნდა, ის დალიოს თავის სასახლეში. ვშიშობ, რომ ძალიან მალე გახარიასთან ერთად მას მატროსოვზე მოუწევს ბალანდის ჭამა.

რუსეთის მიმართ ასეთი მონური დამოკიდებულება არც სააკაშვილსა და თვით შევარდნაძესაც კი არ გამოუხატავთ. ეს უკანასკნელი საქართველოს ხელისუფლებაში რუსეთმა დასვა, მაგრამ მას რუსი ჩინოსნებისთვის არასდროს მიუცია იმის უფლება, რომ მათ სახელმწიფო სიმბოლოებისთვის მიეყენებინათ შეურაცხყოფა.

შევარდნაძეს რუსეთუმეობაში გადაასწრო, სააკაშვილს – სისასტიკეში. თუმცა არც მიშას დროს ყოფილა ჰუმანური. როგორც უკვე გითხარით, ის აძლევდა ყოფილ პრეზიდენტს მიტინგების დარბევებზე მითითებებს.

აქამდე ხალხს ის კეთილი ადამიანი ეგონა, ვიღაცები ამბობდნენ, სისხლი მაინც არ დაუღვრიათო. ახლა სისხლიც დაღვარეს და თავიდან ბოლომდე სისხლიანია „ოცნება“.

მართალია, ეს სისხლიანი ხელისუფლება ჯერ ვერ მოვიშორეთ, მაგრამ პროპორციულ სისტემაზე გადასვლით სერიოზული რამ მოვიპოვეთ.

– ბევრი ფიქრობს, რომ ეს ერთგვარი ხაფანგია.

– ივანიშვილისგან ხაფანგი არ უნდა გაგვიკვირდეს, მაგრამ პროპორციული სისტემა არის შანსი იმისა, რომ საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ერთპარტიული მმართველობა.

საქართველოში ერთი პარტიის მიერ უმრავლესობის მოპოვება ბოლშევიკების მოსვლის ტოლფასია. ჩვენი ტიპის სახელმწიფოში ეს ძალიან საშიშია. ამის დასრულება შეუძლია პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებს.

ერთპარტიული სისტემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავასრულოთ, ისევე როგორც ოკუპაციის პროცესი, რომელშიც ივანიშვილი თავიდან ბოლომდე ჩართულია და ცდილობს, რაც შეიძლება მალე გადასცეს რუსებსა და აზერბაიჯანელებს ის ტერიტორიები, რომლებზეც მათ პრეტენზია აქვთ.

ასევე უნდა ვიბრძოლოთ რეპრესიების შესაჩერებლად, რომლებიც სისხლიანმა ხელისუფლებამ დაიწყო.

– ამ დღეებში სხვებთან ერთად დააკავეს არასამთავრობო ორგანიზაცია „შეაჩერე კორუფციის“ წარმომადგენელი ვატო გელაშვილი. ადამიანს თავში აქვს ტყვია დამიზნებით ნასროლი და მას იქით სდებენ ბრალად ჯგუფურ ძალადობას.

– ვატოს დაკავება ძალიან მოულოდნელი იყო. ვატო არ არის ის ადამიანი, რომელიც ძალადობას ჩაიდენს. ის უწყინარი და წესიერი ადამიანია. აქციის ღამეს იქით დაშავდა. ხელისუფლებას მის მიმართ სულ სხვა პრეტენზიები აქვს.

მან ივანიშვილის ხელისუფლებას არაერთი კორუფციული სქემა გაუშიფრა. რითაც ძალიან გააღიზიანა „ოცნება“. ხელისუფლება გააღიზიანა მან იმ ლაივითაც, რომელიც დარბევის ღამეს ჰქონდა. ეტყობა, მან ბევრი საინტერესო რამე გადაიღო და ამიტომაც დააკავეს.

ვატო არის უდანაშაულო და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მისნაირი ადამიანები ციხეში არ ისხდნენ.

– ვატო გელაშვილის შემდეგ უკვე პოლიტიკოსების დაკავებასაც ხომ არ დაიწყებენ?

– ამას ცდილობდა ივანიშვილი, მაგრამ პირველ ცდაზე არ გამოუვიდა. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია საზოგადოების აქტიურობაზე. უნდა ვიაქტიუროთ პოლიტიკოსებმაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგვიჭერს კიდევაც, თვალებსაც დაგვთხრის და ტერიტორიებსაც გაგვიყიდის. ამ ეტაპზე ორ მეზობელთან – რუსეთთან და აზერბაიჯანთან ვაჭრობს. თუ არ შევაჩერებთ, სხვა მეზობლებთანაც ივაჭრებს.

დამიჯერეთ, მას არ შერცხვება მიწების გაყიდვა. მისთვის მთავარია სკამის შენარჩუნება და დამატებით რამდენიმე მილიარდის შოვნა. ამისთვის ის საკუთარ შვილსაც კი გაყიდის.

თამარ მეფის გამზირიდან გმირთა მოედნის მიმართულებით მოძრაობა 200 დღით შეჩერდება

დღეიდან თამარ მეფის გამზირიდან გმირთა მოედნის მიმართულებით მოძრაობა 200 დღით გადაიკეტება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ცნობით, თბილისის მერია იწყებს მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან თამარ მეფის გამზირის (გმირთა მოედნის) მიმართულებით არსებული პანდუსის სრულ რეაბილიტაციას.

სარემონტო სამუშაოები მიმდინარე წლის 17 ივლისს, 11:00 საათიდან დაიწყება და 200 კალენდარული დღე გაგრძელდება.

აღნიშნულთან დაკავშირებით დროებით შეიცვლება ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების მარშრუტები, კერძოდ:

მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან თამარ მეფის გამზირის (გმირთა მოედნის) მიმართულებით არსებულ პანდუსზე საავტომობილო მოძრაობა ორმხრივად დაიკეტება;

მარჯვენა სანაპიროზე, ვახუშტის ხიდიდან ჩამომსვლელი პანდუსიდან თამარ მეფის ხიდის მიმართულებით, გზის სავალი ნაწილის ერთ სამოძრაო ზოლში ავტომანქანების გადაადგილება შეიზღუდება;

სადგურის მოედნიდან თამარ მეფის ხიდის გავლით, მარჯვენა სანაპიროსკენ მოძრაობა განხორციელდება გმირთა მოედნის გავლით ე.წ. ლაგუნა ვერეს მიმართულებით;

მარჯვენა სანაპიროდან ვაკისა და საბურთალოსკენ მოძრავი ავტომანქანები ისარგებლებენ ე.წ. ლაგუნა ვერეს მიმდებარე ტერიტორიის გავლით, გმირთა მოედანზე არსებული პანდუსებით.

სარემონტო სამუშაოების დროს გზის აღნიშნულ მონაკვეთებზე საავტომობილო მოძრაობას საპატრულო პოლიციის თანამშრომლები დაარეგულირებენ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნუკრი ქანთარია: „ნაციონალებთან და ევრონაცებთან კოალიციაში არასდროს შევალთ“

„უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე გადაწყვეტილება ძალიან დაკვირვებულად უნდა მივიღოთ“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის დეპუტატი **ნუკრი ქანთარია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ნუკრი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევის საკითხი 17 ივლისიდან პარლამენტში გადაინაცვლებს. „ქართული ოცნების“ წევრი აკაკი ზოიძე მიიჩნევს, რომ უმჯობესი იქნება, მოსამართლეების ნაწილი შემდეგი მოწვევის პარლამენტმა აირჩიოს. თქვენი პოზიცია როგორია?

– მე ვთვლი, ვინც ჩაითვლება ღირსეულად თავისი კვალიფიკაციით, თავისი ბიოგრაფიით, სწორედ ის დაიკავებს უზენაესი სასამართლოს უვადო მოსამართლის თანამდებობას. წინასწარი დათქმა აქამდე არ ყოფილა, რომ ამ მოწვევის პარლამენტმა ნაწილი დანიშნოს და ნაწილი შემდეგი მოწვევის პარლამენტს დაუთმოს, ასეთი მოლაპარაკება აქამდე არ გვქონია. არც ასეთი შეთანხმება არ არის გამორიცხული, მაგრამ თუ ღირსეული კანდიდატები იქნებიან წარმოდგენილები, მაშინ რატომ უნდა გადავდოთ?! ვნახოთ, ყველაფერი წარმოდგენილ კანდიდატებზე იქნება დამოკიდებული.

სიმართლე გითხრათ, თავიდან ეს პროცესი ბევრად უფრო გულწრფელი იყო. ახლა ყველა სათავისოდ ცდილობს, გამოიყენოს ეს სიტუაცია. რატომღაც მგონია, რომ პოლიტიკურ თამაშებში გადაიზარდა.

– თქვენთვის რას ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა, როდესაც კანდიდატების გვარ-სახელებს ჩაიკითხავთ?

– ბიოგრაფიებს, კვალიფიკაციას, წინა საქმეების განხილვისას რამდენად აქვთ შავი ლაქები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. ვინაიდან საუბარია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე, გადაწყვეტილებაც ძალიან დაკვირვებულად უნდა მივიღო.

დეპუტატების გარკვეული ნაწილისთვის ეს საზოგადოება უფრო ნაცნობია, ვიღაცისთვის ზოგი კურსელია, ზოგიც ნაცნობი და ა.შ. ჩემთვის ეს საზოგადოება საერთოდ უცნობია, არანაირი შეხება მათთან არ მქონია, ამიტომ მე გადაწყვეტილების მიღების დროს დიდი ყურადღება და მეტი დაკვირვება მმართებს, ალბათ ინტუიციაც დამეხმარება.

– მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე მინდა გკითხოთ, ახალ საარჩევნო სისტემაზე, ნულოვან ბარიერზე, რომელიც შანსს აძლევს პოლიტიკურ პარტიებს. ხაზარაძის გარდა, ელოდებით კიდევ ახალ ძალებს?

– ახალი ჯგუფები კიდევ გამოჩნდებიან. როგორც ჩანს, ეს ნულოვანი საარჩევნო ბარიერი მაინც მაცდუნებელია ბევრისთვის. 13 ათასი ხმით 1 ადგილი უკვე გარანტირებული გაქვს პარლამენტში.

პროპორციული საარჩევნო სისტემა ახალი ხილია. ამიტომ ის უნდა გასინჯოს მოსახლეობამ, წინააღმდეგ შემთხვევაში მუდმივად იქნება იმის წამოძახილი, რომ ხსნა სწორედ პროპორციულ საარჩევნო სისტემაშია და არა შერეულ მოდელში. ვნახოთ, როგორ გაამართლებს ეს სისტემა. ამიტომ, ჯობია გადავიდეთ და გამოვცადოთ. იქნება გაამართლოს.

– თქვენ ეჭვი გეპარებათ?

– არა, სიმართლე გითხრათ, მე არ ვიცი, რამდენად გაამართლებს. არც ის ვიცი, საპარლამენტო მოდელი ჯობია თუ წმინდა საპრეზიდენტო. ამასაც დრო გვიჩვენებს. იქნებ ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა გამოვიდეს და თქვას, არა, ჩვენთან საპარლამენტო რესპუბლიკამ, კოალიციურმა მთავრობამ არ გაამართლა და უკეთესია, ერთი ხელი მართავდეს, ერთი პატრონი გვყავდეს. ვერ გეტყვით, როგორც გითხარით, ამას დრო გვიჩვენებს.

– პოლიტოლოგები კოალიციური მთავრობის გარდაუვალობაზე საუბრობენ.

– დიახ, მაგრამ ან პოლიტიკური დახლი უნდა გახდეს, ან მართლაც ყველამ უნდა გამოიჩინოს კეთილგონიერება, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. ამ ყველაფერს საზოგადოება ნათლად დაინახავს.

მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ პროცესი ძალიან დადებითად წარიმართოს. ეს თითოეულ ჩვენგანზე იქნება დამოკიდებული.

– თქვენ რა სახის კოალიცია წარმოგიდგენიათ?

– პირველ რიგში ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვინ შევა პარლამენტში. ნაციონალურ მოძრაობასთან და „ევროპულ საქართველოსთან“ კოალიცია საერთოდ ვერ წარმომიდგენია. ამიტომ, არც იმას გამოვრიცხავ, რომ პარლამენტი კი შეიკრიბოს, მაგრამ მთავრობა ვერ დააკომპლექტოს და რიგგარეშე არჩევნები გახდეს საჭირო.

ამიტომ ვამბობ, რომ ეს არ არის ადვილი პროცესი. არის რაღაც, რაც არ უნდა გადაკვეთო და არ უნდა შეეკრა იმას, ვინც მიუღებელია.

– თქვენთვის ვინ არის ასეთი?

– ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“. დანარჩენი არ ვიცი, ვინ მოიყრის თავს. ეს ყველაფერი იქნება დამოკიდებული იმაზე, ამომრჩეველი ვის გაუხსნის გზას პარლამენტისკენ.

– მამუკა ხაზარაძე იქნება „ქართული ოცნების“ კონკურენტი?

– სწორედ თქვენთან ინტერვიუში ვთქვი პირველად, რომ თიბისის ირგვლივ განვითარებული მოვლენების შემდეგ მას გული პოლიტიკისკენ გაუწევდა. მას აქვს შანსი და, ცხადია, ის ამ შანსს გამოიყენებს.

– პარლამენტში შევა?

– ალბათ შევა. ის აიღებს ნაციონალების ხმების რაღაც ნაწილს და ასევე აიღებს „ქართული ოცნების“ გარკვეულ ხმებს. ასეთი შანსი მას ამ ეტაპზე აქვს, მაგრამ ბევრი რამე იქნება დამოკიდებული მის შემდგომ ნაბიჯებზეც.

ერთია ბიზნესმენი და მეორეა პოლიტიკოსი. ვნახოთ, რამდენად დამაჯერებელი პოლიტიკოსი იქნება ის.

ვისთან ერთად აპირებს ივანიშვილი კოალიციური მთავრობის შექმნას

ბახტაძემ ივანიშვილის გეგმები გაამხილა

შორენა მარსაგიშვილი

ბიძინა ივანიშვილი ძალაუფლების შესანარჩუნებლად ახალ-ახალ გზებს ეძებს. დასავლეთმა ის კატეგორიულად გააფრთხილა, რომ არჩევნების გაყალბებას აღარ მიუტევებს, რამაც საპრეზიდენტო არჩევნები 2-ის გამეორება გამორიცხა. ამიტომაც ოლიგარქმა გეგმა ბე აამუშავა და მომავალ არჩევნებზე ამ გეგმით შეეცდება ხელისუფლების შენარჩუნებას. უმრავლესობას ვერ მოიპოვებს, მაგრამ ახლობელ პარტიებთან ერთად კოალიციურ მთავრობას შექმნის.

ჯერ ისევ მმართველი პარტიის სამომავლო გეგმები მთავრობის მეთაურმა მამუკა ბახტაძემ გააჟღერა.

პრემიერმა მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ პროპორციული არჩევნების პირობებში კოალიციური მთავრობის არსებობა გამორიცხული არ არის.

– რაც შეეხება კოალიციური მთავრობის ალბათობას, ბუნებრივია, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ პროპორციულ არჩევნებზე ნულოვანი ბარიერის პირობებში, რა თქმა უნდა, ამის ალბათობა არის გაცილებით მაღალი. მაგრამ 2020 წლის ოქტომბრამდე არის საკმაოდ დიდი დრო დარჩენილი. მე ნაადრევად არ გავაკეთებდი ასეთ დასკვნებს, ეს იქნება დამოკიდებული მხოლოდ ქართველი ერის არჩევანზე. თვითონ საარჩევნო სისტემა, რომელიც არის დაანონსებული ჩვენი მხრიდან, კოალიციური მთავრობის ალბათობას ნამდვილად ზრდის, – განაცხადა ბახტაძემ.

მან არ უპასუხა კითხვას, თუ ვისთან ერთად შეიძლება შექმნას „ოცნებამ“ კოალიციური მთავრობა.

არსებობს მოსაზრება, რომ ივანიშვილი კოალიციურ მთავრობას პატრიოტთა ალიანსთან ერთად შექმნის.

ალიანსისა და ქვეყნის არაფორმალური მმართველის თანამშრომლობის შესახებ უკვე დიდი ხანია საუბრობენ. ამაზე პირველად მაშინ ალაპარაკდნენ, როცა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ალასანიას პარტია გარეთ დარჩა, ხოლო ალიანსი საკანონმდებლო ორგანოში შევიდა.

პატრიოტები ხელისუფლებას ზოგჯერ აკრიტიკებენ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მაშველ რგოლად ევლინებიან. როცა „ოცნებას“ ძალიან უჭირს და ნაციონალები აქტიურდებიან, ასპარეზზე ალიანსი გამოდის და ყოფილი ხელისუფლების დასჯას ითხოვს.

ივანიშვილთან ალიანსში, შესაძლოა, ბურჯანაძის პარტიაც ვიხილოთ, მაგრამ ეს უფრო საეჭვოა. მისი და ინაშვილის პარტიები ერთად ალბათ ვერ იქნებიან.

ივანიშვილი რომ ფონს გასვლას კოალიციური მთავრობით აპირებს, ამაზე სამოქალაქო აქტივისტი ლადო სადღობელაშვილი დიდი ხანია საუბრობს. მთავრობის მეთაურმა მისი მოსაზრება, ფაქტობრივად, დაადასტურა.

– ქვეყანა რომ დაიქცეს, ივანიშვილი უმრავლესობით ვეღარ მოვა და შეიძლება, ხელისუფლებაც დაკარგოს.

თავიდან მას კონტროლირებადი მესამე ძალის შექმნა სურდა, მაგრამ გადაიფიქრა.

მან აქცენტი პატარ-პატარა პარტიებზე გააკეთა. მათ პარლამენტში შესვლაში დაეხმარება და მათთან ერთად შექმნის შემდეგ კოალიციურ მთავრობას. იმისთვის, რომ დასავლეთის თვალში დემოკრატის იმიჯი შეინარჩუნოს, შეიძლება, პირველ ადგილზე „ოცნება“ არ გააყვანინოს და ლიდერობა ნაცებს დაუთმოს, მაგრამ ეს რეალურად მისი გამარჯვება იქნება. ის მის ხელდასმულ პარტიებთან ერთად შექმნის კოალიციურ მთავრობას, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ლადო სადღობელაშვილი.

მოხსნის თუ არა გახარია საბანაძეს?

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი წასვლას არ აპირებს, სამაგიეროდ, უწყებაში იწყებს წმენდას. ამის შესახებ ჯერ კიდევ 20 ივნისის სისხლიან ღამემდე საუბრობდნენ. ახლა ეს თემა უფრო აქტუალური გახდა.

ოპოზიციის მტკიცებით, შს მინისტრი იმდენად არის შეშინებული, რომ მზად არის, მოადგილეებიც შეცვალოს.

მათი აზრით, შეცვლის საშიშროება ყველაზე მეტად კახა საბანაძეს ემუქრება, რომელსაც შსს-ში მინისტრზე არანაკლები გავლენები აქვს და, როგორც ამბობენ, უწყება ძირითადად მისი ხალხით არის დაკომპლექტებული.

როგორც ამბობენ, საბანაძესა და მინისტრს შორის ადრეც იყო რაღაც გაუგებრობა, მაგრამ ახლა ამან სერიოზული სახე მიიღო. მიზეზი კი ის სისხლიანი ღამეა.

არა, საბანაძე გახარიას ამის გამო არ გმობს, დაპირისპირების მიზეზი სხვა რამეა. საქმე ის არის, რომ მინისტრის მოადგილემ მინისტრისგან განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა. კერძოდ, გახარიამ ტვ პირველის ეთერში თქვა, რომ დარბევამდე მომიტინგეები გააფრთხილეს.

ამ განცხადებიდან რამდენიმე დღეში „კვირის პალიტრაში“ უკვე კახა საბანაძის ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც შს მინისტრის პირველი მოადგილე ამბობს, რომ მათ აქციის მონაწილეები არ დაურბევიათ. არადა, კანონში პირდაპირ წერია, რომ დაშლის დაწყებამდე აქციის მონაწილეები უნდა გააფრთხილონ.

– როცა აგრესიული მასა შეტევაზე გადმოდის, როგორ წარმოგიდგენიათ გაფრთხილება? პოლიციას თავს დაესხნენ იმისთვის, რომ პარლამენტში შესვლა უნდოდათ. ასეთ დროს გაფრთხილებას აზრი არა აქვს, გარდა იმისა, რომ იყო ინტერვიუებით მოწოდება, დაშლილიყვნენ, ოფიციალური განცხადებები, მოწოდება ორგანიზატორების მისამართით, რომ შეეწყვიტათ აგრესიული ქმედება, – აცხადებს საბანაძე.

პრესა.გე-ს შსს-დან ინფორმირებულმა წყარომ ინფორმაცია მიაწოდა, რომ გახარია ამის გამო ძალიან გაბრაზებულია.

წყაროს მტკიცებით, გახარია შიშობს, რომ ერთ დღესაც საბანაძე მის საქმეში შეიძლება ოქროს მოწმე იყოს.

იურისტების აზრით, საბანაძემ, ფაქტობრივად, გახარიას წინააღმდეგ მისცა ჩვენება და ის სისხლის სამართლის დანაშაულში ამხილა.

გახარიას, შესაძლოა, პრობლემები „ოცნებაშიც“ შეექმნას. მმართველ პარტიაში ჯერ ხმადაბლა საუბრობენ, რომ ძალის გადამეტებას ჰქონდა ადგილი.

ხმამაღლა ეს განცხადება „ოცნებიდან“ წამოსულმა კობა ნარჩემაშვილმა გააკეთა. შევარდნაძის უკანასკნელი შს მინისტრი ჯერ კიდევ წინა თვეში ამბობდა, რომ გახარია უნდა გადამდგარიყო.

ახლა ის მხარს უჭერს საგამოძიებო კომისიის შექმნის იდეას, რომელმაც 20 ივნისის დარბევა უნდა შეისწავლოს.

კომისიას, ალბათ, არ შექმნიან, რადგანაც უმრავლესობა ამას მხარს არ დაუჭერს.

სოსო ცისკარიშვილი: „თავისუფლება ბიძინა ივანიშვილს!“

„მამუკა ხაზარაძეს რუსული ოცნება პრობლემებს შეუქმნის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტოლოგი, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტი **სოსო ცისკარიშვილი** პასუხობს.

– ბატონო სოსო, აირაის კვლევებით, „ქართული ოცნება“ მხოლოდ 4%-ით უსწრებს ნაციონალურ მოძრაობას. როგორია თქვენი ხედვები და შეფასებები?

– ეს 4%-იანი სხვაობა ძალიან საინტერესოა. 20 ივნისი გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ „ქართული ოცნება“ არის მხოლოდ შირმა, შინაარსი არის რუსული ოცნება და არა – ქართული. დიახ, სწორედაც რომ რუსული ოცნება იყო მომხდარიყო ის, რაც მოხდა.

დროა, გავიღვიძოთ ქართველებო! წავაკითხოთ და დავაზეპირებინოთ დიდი მგოსნის, აკაკი წერეთლის გულისტკივილი ბიძინა ივანიშვილს და მისი რუსული ოცნების პარლამენტარ ლეკვებს. სკოლაშიც უნდა ვასწავლოთ დიდი აკაკის ეს ლექსი: „დამეხსენი, ჩრდილოელო, რა მაქვს შენთან საზიარო, თვით ოხერო, მოუვლელო, როგორ გინდა მომიარო“?!

– ფიქრობთ, რომ „ქართული ოცნება“ რუსულ ინტერესებს ემსახურება?

– მარტო მე არა, ძალიან ბევრი ფიქრობს ასე. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვუახლოვდებით ევროპულ დემოკრატიას, რადგან აღმოვჩნდით სულ ცოტა ოთხწლიან ბიძინოკრატიაში.

სამწუხაროდ, ჩვენ დავივიწყეთ პატრიოტიზმი, კეთილგანწყობილებები, უფროს-უმცროსის ურთიერთობები და ბევრი სხვა რამ

– გასულ კვირას ტუსკი შეხვდა ივანიშვილს. რა გზავნილები ჩამოუტანა ტუსკმა ივანიშვილს, მიანიშნა, რომ დათმოს ხელისუფლება?

– ეს არ არის მოულოდნელი თემა, რადგან ტუსკი არ იყო პირველი პირი, რომელიც ასეთ თემას გააჟღერებდა ბატონ ბიძინასთან. ალბათ სასაცილოც კია, თუ რა განცხადება გააკეთა ამ შეხვედრის შემდეგ ბატონმა ბიძინამ, ადამიანმა, რომელსაც თითქმის 8 წლის განმავლობაში რუსეთი თავზე აზის.

მას არც ერთხელ არ უთქვამს და არც კი წამოსცდენია სიტყვა ნატო. ამ უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ კი რატომღაც აღმოჩნდა, რომ ჩვენი ქვეყნის მთავარი გზა არის ევროპისკენ და ასე შემდეგ. მე ვერ ვიტყვი, რომ გულწრფელი იყო ბატონი ბიძინა ამ განცხადებისას. ალბათ მან სტუმრის მიერ ნათქვამი ფრაზები საკუთარ თემად გაასაჯაროვა.

– მოდის გზავნილები, რომ „ოცნება“ უნდა წავიდეს. რამდენად მარტივად წავა?

– ძალიან კარგი კითხვაა და გეტყვით, რატომ. დღეს თუკი ვინმე არ არის დამოუკიდებელი, ეს პირველ რიგში ბიძინა ივანიშვილია. მას საკუთარი თავის უფლების უფლება პრაქტიკულად არ გააჩნია.

მე წლების განმავლობაში არაერთხელ მითქვამს, მართალია, ნახევრად ხუმრობით, მაგრამ მაინც, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ მოძრაობა „თავისუფლება ბიძინა ივანიშვილს“.

ის შებოჭილია და არც ის იქნება ჩემთვის მოულოდნელი, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს, რომლის გადადგომასაც ასე დიდხანს და დიდი მონდომებით ითხოვს ჩვენი საზოგადოება, ვერც ბატონი ბიძინა მოხსნის, რადგან მას ამის უფლება არ აქვს.

– მაშინ ვის აქვს ამის უფლება, საიდან უნდა მოვიდეს ეს ბრძანება?

– საიდანაც მობრძანდა ბატონი ბიძინა, სწორედ იქიდან არის გახარიაც და კიდევ ზოგიერთი მაღალჩინოსანი.

როდესაც ბატონმა ბიძინამ მოისურვა ჩემი გაცნობა და ეს იყო 2011 წლის ოქტომბერი, ჩვენ დაახლოებით 2 საათის განმავლობაში ვისაუბრეთ და მან მითხრა, რომ წამოიყვანა 3-4 ისეთი ბიჭი, რომლებიც ძალიან მაგრები იყვნენ, განათლება საზღვარგარეთ ჰქონდათ მიღებული და ასე შემდეგ. ანუ ის მოვიდა თავისი კადრებით.

მას შემდეგ, რაც ვაკვირდები ბატონ ბიძინას, მას მოვიხსენიებ, როგორც საქართველოს კადრებთუხუცესს, როცა ვხედავთ, რანაირ კადრებს პოულობს თვითონ, აგერ მისი მეუღლის მეგობარი გოგონა ახლა უკვე აჯაფსანდალის სამინისტროს მინისტრია.

– ჯანდაცვის სამინისტროს გულისხმობთ?

– დიახ, ჯანდაცვის და კიდევ დანარჩენის. კარგად ვხედავთ, რომ ადეკვატური კადრების დანიშვნა ძალიან იშვიათად ხდება.

– გახარიაზე საუბრით დავიწყეთ და რომ გავაგრძელოთ, აქტიურად მოითხოვენ მის გადადგომას და ფიქრობთ, რომ არ წავა? თუ ეს მის სურვილზე არ არის დამოკიდებული?

– მე არ გამოვრიცხავ, რომ გახარიას უფრო მეტად უნდა წასვლა, რომ ყველამ დაანებოს თავი, ვიდრე მათ, ვინც მის გადადგომას ითხოვს.

– როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესები შემოდგომიდან? ვადამდელ არჩევნებზეც მიდიოდა საუბარი, ეს თავად ივანიშვილს აწყობსო. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?

– რასაკვირველია, რიგგარეშე არჩევნები, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სრულიად დაბნეული მეოცნებეთა პარტიისთვის. ფასადი ამ პარტიისა არის „ქართული ოცნება“, რეალობა კი სულ სხვა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ დანარჩენი 250 რეგისტრირებული პარტია რაიმე სიკეთის მომტანია ჩვენი ქვეყნისთვის.

დიდი ინტერესით ველოდები სექტემბერს.

– პოლიტიკურ სცენაზე შემოდის მამუკა ხაზარაძე. რამდენად მყარი და დამოუკიდებელი იქნება ეს პოლიტიკური მოძრაობა?

– ველი ამ მოძრაობის გამოჩენას. რა ერქმევა, ჯერ ეს უნდა ვიცოდეთ. იმედია, რომ ბიზნესთან ახლო კავშირში არ იქნება და არ გავიგებთ ამ თემაზე მუდმივ მოწოდებებს.

როდესაც საუბარია, რომ აფუძნებს მოძრაობას და არა პარტიას, ეს უკვე საინტერესოა. პირადად ვიცნობ ბატონ მამუკა ხაზარაძეს უკვე დიდი ხნის განმავლობაში და მისი გზა საკუთარ ბიზნესში არის აღიარებული ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ.

მისი კოლეგები ევროპაში შეერთებულ შტატებში მას ძალიან კარგად ახასიათებენ. ძალიან საინტერესოა მისი ურთიერთობების კლასი. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, იგი არასოდეს არ აპირებდა პოლიტიკაში წასვლას.

– მაშინ რა შეიცვალა?

– ახლა სხვა გზა არ არის, არა მისთვის, არამედ ჩვენი ქვეყნისთვის. ვხედავდით, თუ როგორ ესხმოდნენ მას თავს რუსული ოცნება და კრემლიც. იმის გამო, რომ კრემლი მიხვდა, რომ გაუჭირდება ანაკლიის შეხრამუნება.

– რამდენად სერიოზული პრობლემები შეექმნება მამუკა ხაზარაძეს და მის ახალ მოძრაობას?

– რასაკვირველია, პრობლემა ბევრი იქნება. უპირველესი ამოცანა ამ რუსული ოცნების სწორედ მამუკა ხაზარაძეზე თავდასხმა იქნება. ასევე მის გარშემო მყოფ პირებზე. უკვე ბევრს გაუჩნდა სურვილი ბატონ მამუკას გვერდში დგომის, მის მოძრაობაში გაერთიანების და ეს ძალიან იმედისმომცემია. ასევე ბევრ კარგ და გონიერ ახალგაზრდას ვნახავთ მის გვერდით.

– ვისზე საუბრობთ, ვინ იქნება მის გუნდში?

– დაველოდოთ, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. მე არ მინდა გული დავწყვიტო იმ სუბიექტებს, რომლებიც ჩემს ჩამონათვალში ვერ მოხვდებიან. თვითონ პროცესი კი არის როგორც მალამო დღევანდელი რეალობისთვის.

ეს არ იქნება მარტივი არც თავად ხაზარაძისთვის, მაგრამ ისეთი ალიყური გამოუგზავნეს ლონდონიდან ჩვენს ეროვნულ ბანკს, რომ ეს უკვე იმედისმომცემია.

ასე რომ, ბიძინიადა ყველაფერზე ვერ მოიქნევს თავის კუდს, თუმცა მაქვს მოლოდინი, რომ ხაზარაძეზე დაიწყება თავდასხმები უნამუსო ვაჟკაცებისგან, რომლებიც დაქირავებულნი არიან რუსული ოცნების მიერ.

– ანუ დიდი ბრძოლა ელის ხაზარაძეს?

– ძალიან დიდი. მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ უნდა ეცადოს, რომ აღდგეს ისეთი პერიოდი, რაც ადრე გვქონდა.

სამწუხაროდ, ჩვენ დავივიწყეთ პატრიოტიზმი, კეთილგანწყობილებები, უფროს-უმცროსის ურთიერთობები და ბევრი სხვა რამ. ერთადერთი მიზანია დარჩენილი ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის და ეს არის ფული, ფული და რაც შეიძლება ბევრი ფული! სხვა ყველაფერი გადავყარეთ, მეტი არაფერი აინტერესებთ. მათ ღმერთად იქცა მხოლოდ ფული!

ასლან ბჟანია საარჩევნო მარათონს ჩამოშორდა

სოხუმის პოლიციაში ეჭვმიტანილი ანზორ თარბა მოკლეს

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთის ოპოზიციის ლიდერი, დეპუტატი ასლან ბჟანია დეფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აღარ მიიღებს. ამის შესახებ მან გერმანიიდან შემოუთვალა საზოგადოებას. ამასთან, ბჟანიამ მოუწოდა მომხრეებს, არჩევნებში მხარი დაუჭირონ „ამცახარას“ ლიდერ ალხას კვიციინიას.

კვიციინია გაერთიანებული ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატად მიიჩნევა. ოპოზიციისგან ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებულია დეპუტატი დიმიტრი დბარი.

– ოპოზიციაში არანაირი განხეთქილება არ არსებობს. ვაგრძელებთ ბრძოლას, რომელსაც ეწეოდა ოპოზიციის ლიდერი ასლან ბჟანია. იგი ახლაც რჩება ოპოზიციის ლიდერად. ველით მის დაბრუნებას, რათა მან გააგრძელოს საქმიანობა გუნდში საკვანძო პოსტებზე. ჩვენ არჩევნებზე ვხელმძღვანელობთ ასლან ბჟანიას მიერ შემუშავებული პროგრამით, – განაცხადა დიმიტრი დბარმა.

ბჟანიას მომხრეებს იმედი ჰქონდათ, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა. საზოგადოების პროტესტის შედეგად ხაჯიმბა და მისი საპარლამენტო უმრავლესობა დათანხმდნენ არჩევნების ვადის აგვისტოში გადაწევას. თუმცა, ბჟანია აგვისტოშიც ვერ მონაწილეობს საარჩევნო მარათონში. დაახლოებით ერთი თვეა, ასლან ბჟანია გერმანიაში მკურნალობს, სადაც ის მოსკოვის კლინიკიდან გაამგზავრეს.

აფხაზეთის საზოგადოების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ასლან ბჟანია და მისი დაცვა მოწამლეს. ამის შემკვეთად სახელდებიან რუსეთის სპეცსამსახურები, ან დეფაქტო პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, რომლისთვისაც ბჟანია რეალური კონკურენტი იყო.

ბჟანიას მოწამვლაში რუსეთის კვალს ხედავენ თბილისში მყოფი აფხაზეთის დევნილები. ბჟანია რუსეთის მოწინააღმდეგე არ არის, მაგრამ ის არ გამოირჩევა ქართველებისადმი სიძულვილით. ამიტომ, ითვლება, რომ ბჟანია რუსეთს არ უნდა.

ოპოზიციის ლიდერის მოწამვლის ფაქტს უარყოფს სოხუმის ოფიციოზი. აფხაზეთის პროკურატურის პირით ხაჯიმბას რეჟიმი აცხადებს, რომ ბჟანიას დაავადება გარედან ჩარევის შედეგი არ არის. ამიტომ, ამის გამო სისხლის სამართლის აღძვრის საფუძველი არ არსებობს.

აფხაზეთში პროკურატურას ისევე არ ენდობიან, როგორც პირადად ხაჯიმბას და შსს-ს.

ამ დღეებში ეს ნდობა კიდევ უფრო შემცირდა. რესპუბლიკაში ზედიზედ ბევრი მძიმე დანაშაული მოხდა. წინასაარჩევნო რეჟიმში მყოფი ხაჯიმბა იძულებული გახდა, სამართალდამცავებისთვის მოეწოდებინა, ობიექტურად გამოიძიონ ყველა ხმაურიანი საქმე.

ერთმა საქმემ შსს-ს გაუტეხა სახელი – 11 ივლისს შსს-ს შენობაში წამებით მოკლეს ადამიანის გატაცებაში ეჭვმიტანილი ანზორ თარბა.

ამ მკვლელობისა და კიდევ რამდენიმე მძიმე დანაშაულის გამო პარლამენტს რეაგირებისაკენ მოუწოდეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. მათი აზრით, სახალხო კრებამ უნდა გამოიძახოს სამართალდამცავი სტრუქტურები და იმსჯელოს შექმნილ საგანგაშო მდგომარეობაზე.

– დანაშაულის რაოდენობა და ხასიათი მოწმობს, რომ აფხაზეთში უსაფრთხოების სისტემა მოშლილია. ადამიანები მძევლად აჰყავთ ფულის გამოძალვის მიზნით, შსს-ს კედლებში წამებით იხოცებიან დაკავებულები; მართლმსაჯულებით გაწბილებული ხალხი თვითონ ასამართლებს ადამიანებს; ისინი, ვისაც უსაფრთხოების დაცვა ევალება, ერთმანეთში გარჩევებით არიან დაკავებული; არის დაუსჯელთა კასტა და შერჩევითი სამართალი, – აღნიშნავენ არასამთავრობო ორგანიზაციები.

მძიმე კრიმინოგენული ფონი აუარესებს მოქმედი პრეზიდენტის, რაულ ხაჯიმბას პოზიციას წინასაარჩევნოდ.

ამ არჩევნებში ხაჯიმბას მხარს აღარ დაუჭერს „ყაბარდო-ბალყარეთის აფხაზ მოხალისეთა კავშირი“.

– ჩვენი ორგანიზაცია ნეიტრალურია. არ ვიღებთ მონაწილეობას არც წინასაარჩევნო და არც საარჩევნო საქმიანობაში რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ. აფხაზეთის ხალხი თვითონ გააკეთებს სწორ არჩევანს. მივემხრობით იმას, ვისაც ამომრჩეველი აირჩევს, – ამბობს ორგანიზაცია.

რაულ ხაჯიმბასა და ალხას კვიციინიას გარდა, არჩევნებში მონაწილეობის პრეტენზია აქვთ ასტამურ თარბას, ლეონიდ ძაპშბას, ასლან ჯაპუას, ასტამურ კაკალიას, ასტამურ ოტირბას, შამილ არძინბას, არტურ ანქვაბს, ოლეგ არშბას.

აფხაზეთში მცხოვრები ქართველების აბსოლუტური უმრავლესობა არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს იმის გამო, რომ აფხაზეთის მოქალაქეობა და პასპორტი არ გააჩნია.

ლია მუხაშავრია: „რუსთავი 2“-მა „ოცნება“ ანკესზე წამოაგო“

იაგო ნაცვლიშვილი

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 9%-იანი წილის მფლობელი ნინო ნიჟარაძის ადვოკატმა ამავე კომპანიის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას წინააღმდეგ საქართველოს გენერალურ პროკურატურას მიმართა. ადვოკატის თქმით, გვარამიას ქმედებებში სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლის დარღვევა იკვეთება.

„საუბარია 220-ე მუხლზე, კომპანიის ხელმძღვანელი პირის მიერ საზოგადოების საზიანოდ მოქმედება, რასაც თავისთვის და სხვისთვის უპირატესობა და გამორჩენა მოჰყვა. ეს გახლავთ 182-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს მითვისებასა და გაფლანგვას. ეს არის 205-ე პრიმა მუხლი, რომელიც გულისხმობს სპეციალური უფლებამოსილების იმგვარად გამოყენებას, რომელსაც მოჰყვა გარკვეული ქონების გადამალვა“, – განაცხადა ადვოკატმა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნიჟარაძის მხარემ რამდენიმე დღის წინ „რუსთავი 2“-ის პარტნიორებს გვარამიას გადადგომის თხოვნით მიმართა. პარტნიორთა კრებაზე კი გვარამიას თანამდებობა შეუნარჩუნდა.

რას ნიშნავს გვარამიას წინააღმდეგ პროკურატურაში სარჩელის შეტანა იმ ვითარებაში, როცა ხუთშაბათს „რუსთავი 2“-ის საქმეზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გახდეს ცნობილი, ხომ არ იკვეთება ხელისუფლების კვალი და ის, რომ ხელისუფლება სათადარიგო გეგმას ამზადებს „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ თუ სტრასბური მისთვის მისაღებ გადაწყვეტილებას არ გამოაცხადებს? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იურისტი ლია მუხაშავრია საუბრობს.

ლია მუხაშავრია:

– სათადარიგო სვლა გააკეთეს, მაშველი რგოლი გაბერეს და წყალში გადაგდებას აპირებენ იმ შემთხვევისათვის, თუ არ გამოვა ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მათთვის მისაღები იქნება. მხედველობაში მაქვს ევროსასამართლოს გადაწყვეტილება.

მაგრამ მეორე საკითხია ის, თუ რა უნდა გაკეთდეს პროკურატურაში, მაშინ როდესაც პროკურატურას თავისი საქმეებისთვის ვერ მოუვლია. ის, რაც მას ავალია და რაც მისი პირდაპირი მოვალეობა და ფუნქციაა. ამ საქმეზე რა უნდა გააკეთოს?! „რუსთავი 2“-ის პარტნიორებმა არ მისცეს თანხმობა, გვარამია არ გადააყენეს და ვერაფერიც ვერ მიიღო. დამთავრდა, რა შუაშია პროკურატურა?! წარმოუდგენელი რაღაცაა.

– რამდენიმე მუხლის დარღვევაზე მიუთითებს და გვარამია თავისი და სხვა კონკრეტული პირების სასარგებლოდ მუშაობდაო. ამ თემებზე რამდენად შეუძლია გადაწყვეტილების გამოტანა?

– არა, არ შეუძლია. აბსოლუტურად არაფრის გაკეთება არ შეუძლია. ეს იქნება წყალში გადაგდებული ანკესი და მეტი არაფერი.

– მაშინ, რის გაკეთებას ცდილობს ხელისუფლება?

– ხელისუფლება, ცხადია, თავისას ცდილობს. არ უნდა, რომ გადაყლაპოს, როგორც ეს მოუწია და ალბათ კიდევ მოუწევს. ამიტომ, ცდილობს, რომ რაღაცნაირად შეეცადოს რამის გაკეთებას, ან მუქარით, ან შანტაჟით, ან სხვა მეთოდებით მოახდინოს გვარამიასთან ან შეთანხმება, ან გარიგება, ან ის, რომ მას რაღაც დაათმობინოს.

– ხომ არ უნდა ველოდოთ მორიგ შეტევას „რუსთავი 2“-ზე, რაც არაერთხელ გვინახავს წინა წლებში?

– ვერ გეტყვით. გამორიცხვით არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, იმიტომ, რომ „რუსთავი 2“ არ არის ხელისუფლებისგან კონტროლირებადი ტელევიზია და მისი კონტროლის ზონიდან აბსოლუტურად გასულია. აქედან გამომდინარე, მცდელობები იქნება.

– ანუ ხელისუფლების სურვილი ჩანს, რომ ყველა ტელევიზიამ ერთ ხმაზე ილაპარაკოს, როგორც ეს წინა მმართველობის დროს იყო?

– რა თქმა უნდა. ამას თავის დროზე არ მალავდა ბიძინა ივანიშვილი და არ მალავს ახლაც ხელისუფლება. ამიტომ გასაგებია, რომ ეს სურვილი ექნებათ მმართველ გუნდში, მაგრამ სხვა საკითხია, მათ ამის შესაძლებლობა რამდენად მიეცემათ. იმედი მაქვს, რომ ეს შესაძლებლობა მათ არ მიეცემათ.

– ეს რაზეა დამოკიდებული?

– ეს დამოკიდებულია თავად მედიასა შუალებაზე და ასევე საზოგადოებაზე, როგორ უყურებს ამ მოვლენებს და რამდენად აიმაღლებს ხმას ასეთი ქმედებების წინააღმდეგ. ჩვენ მივაჩვიეთ ხელისუფლება იმას, რომ ასე იოლად არ ვთმობთ

გამოხატვის თავისუფლებას, პრესისა და მედიის თავისუფლებას.

ეს არის დემოკრატიული ცხოვრების წესი, რომ მუდმივი დაპირისპირება და მუდმივი ბრძოლაა და ეს პროცესი მუდმივ პროცესად გრძელდება მეტ-ნაკლები წარმატებით და დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის წარმატებით მთავრდება.

– ხომ არ ხედავთ თქვენ რაღაც კავშირებს, რა პროცესებიც იყო „რუსთავი 2“-თან მიმართებით. სხვადასხვა სახის აქცია გაიმართა და ა.შ., ანუ ხელისუფლების ხელი ხომ არ ჩანდა იმ შემთხვევაშიც?

– ვერ გეტყვით. ნამდვილად გამიჭირდება იმის თქმა, რომ იქ ხელისუფლების ხელი იყო, მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ ვიღაცების წაქეზება მოხდა და ვიღაცებისთვის ჩაწვეთება იმის, რომ „რუსთავი 2“-ის შენობასთან აქციის გამართვა კარგი აზრია. არ არის გამორიცხული, რომ ასეთი მცდელობა იყო, მაგრამ ეს არის ჩემი ვარაუდი და კონკრეტულ ინფორმაციას არ ვფლობ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

– თვითონ ნიკა გვარამიაც ხომ არ აძლევს თავისი განცხადებებითა თუ ქმედებებით გარკვეულ საფუძველს, რომ ასეთი სახის იერიშები მიიტანოს ხელისუფლებამ თუ სხვა ჯგუფებმა დამოუკიდებელ ტელეკომპანიაზე?

– იცით, რაშია საქმე? რაც მეტი სკანდალი ექნება მედიას, მით უკეთესია მისთვის. რაც უფრო დაჩაგრულად წარმოჩნდება და ბრძოლაში გადაშვებულად, ეს უკეთესია მისთვის. ამიტომ, ცხადია, რომ ასეთი რაღაც წარმოებს ხოლმე ამ ცეცხლში.

– ანუ ეს ვითარება გვარამიასაც აწყობს?

– რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ყურადღების ცენტრშია. ამით ის ამტკიცებს, რომ მსხვერპლი და სახელმწიფოს შანტაჟის საგანია. ეს მისთვის ხელსაყრელია.

– ამას ხელისუფლება ვერ აცნობიერებს?

– მე მგონი, ყველანი უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ ძალიან ბრიყვი ხელისუფლება დავისვით თავზე და ისინი ვერ აცნობიერებენ ამდენს, თორემ ასეთ სისულელეებს არ ჩაიდენდნენ. მე რომ ვიყო ხელისუფლებაში, ამას არ გავაკეთებდი, რადგან ეს ძალიან ცუდად გამოჩნდება ევროსასამართლოს გამოსაცხადებელი გადაწყვეტილების ფონზე, იმიტომ, რომ ისინი უყურებენ მიმდინარე მოვლენებს, თანაც ძალიან სერიოზულად, მით უმეტეს მედიაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას. მაშინ კი, როცა თავდასხმა ხდება მედიაზე ნებისმიერი ფორმით და მედიის შევიწროება, ეს ძალიან ცუდი ნიშანია და ძალიან უმაგრებს ზურგს თავად „რუსთავი 2“-ს.

– ანუ იმას ამბობთ, რომ სტრასბურის სასამართლო ასეთ საკითხებს ყურადღებას აქცევს ხოლმე?

– რა თქმა უნდა. ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს და მე არაერთხელ მითქვამს კოლეგებისთვის, რომ სრულიად უცნობმა სააგენტომაც თუ გამოაქვეყნა რამე ინფორმაცია თქვენს საქმესთან დაკავშირებით, მშვიდად იყავით, თუ ამას ცნობადი მედიასაშუალებები არ გამოაქვეყნებენ, იმიტომ, რომ თუ სადმე გაჟღერდა ინფორმაცია, ეს უკვე საყურადღებოა ევროსასამართლოსთვის.

– ანუ გამოდის, რომ „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლები გადააგდებენ ანკესს და ხელისუფლება ამ ანკესზე წამოეგება ხოლმე?

– დიახ, მე მგონია, რომ ეს ხელისუფლება დიდი ხანია, ანკესზე ჩამოკონწიალებულია, თან თავი მოსწონს და ჰგონია, რომ ჭკვიანურად იქცევა.

ჯემალ გამახარია: „პუტინმა საქართველოს ისტორიის დამახინჯებით თავისი გეგმა გაამჟღავნა“

გულიკო ბალაძე

რას ნიშნავს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მხრიდან საქართველოს ისტორიის გაყალბებით წარმოჩენა? რის გაკეთებას აპირებს პუტინის რეჟიმი მომავალში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ჯემალ გამახარია** ესაუბრა.

– ბატონო ჯემალ, ცოტა ხნის წინ მთელი მსოფლიოს გასაგონად რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა საქართველოს ისტორიის გაყალბებული ვერსია წარმოადგინა. ბოლო 30 წელიწადში მათ აფხაზეთის გაყალბებული ისტორიის წიგნიც გამოსცეს, რასაც აფხაზეთში ასწავლიან. როგორც აფხაზეთის მხარის ისტორიის კარგი მცოდნე, როგორ უპასუხებდით პუტინისეულ ისტორიულ ექსკურსს, რომელიც გავრილოვის საქართველოდან გაძევების შემდეგ მან საქართველოს ისტორიის შესახებ გააკეთა?

– ეს ძალიან სერიოზული საკითხია. ეს არ არის უბრალო ექსკურსი ისტორიაში. რაც რუსეთმა ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოს გაუკეთა და რის გაკეთებასაც აპირებს მომავალში პუტინის რეჟიმი, ფაქტობრივად, მან ის გეგმა წარმოადგინა. ამ გეგმის იდეოლოგიური დასაბუთება იყო საქართველოს ისტორიის ყალბი ვერსიის წარმოდგენა.

რუსეთი სწორედ პუტინისეული, ამ ისტორიულ ექსკურსში ნაგულისხმევი გეგმით მოქმედებს დღეს, მოქმედებას აპირებს ხვალ და ზეგ. ამ საკითხში ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ბატონი პუტინის ამ ე.წ. ისტორიული ექსკურსისას წარმოთქმული ყოველი სიტყვა რომ სიცრუეა, ეს ისტორიკოსებისათვის ძალიან კარგად არის ცნობილი.

პუტინი პირველად არ საუბრობს საქართველოს ისტორიასა და ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების ისტორიაზე. პუტინმა პირველად საქართველოს შესახებ მსგავსი ყალბი ისტორია 2008 წლის 28 აგვისტოს წარმოადგინა, როდესაც მან ინტერვიუ მისცა „სი ენ ენ-ს“. აი, სწორედ მაშინ ისაუბრა პუტინმა გამოკვეთილად საქართველოს ისტორიის თემაზე. შემდეგ არაერთხელ გაიმეორა არა მარტო პუტინმა, არამედ ლავროვმაც, მედვედევმაც, თუმცა, არ მახსოვს, პუტინს ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების ისტორიაზე ასე ვრცლად ესაუბრა.

– პუტინი საქართველოს შესახებ ყალბ ისტორიას გამიზნულად წარმოადგენს.

– რასაკვირველია. პუტინს საქართველოს ისტორიის ყალბი ვერსია დაუწერეს. მან ეს დაიზეპირა და ბევრი შეუსაბამო რამ ისაუბრა. ისეთი ტყუილები ილაპარაკა, რაც ისტორიაში არ არსებობს. პრეზიდენტი კაცი ლაპარაკობს, რომ სახელშეკრულებო აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა და საქართველო მის შემადგენლობაში შევიდა. ეს საერთოდ არ ვიცი, რა არის და რას ნიშნავს.

– ალბათ, უთხრეს, რომ საქართველოს ჰყავდა მეფე ტიტულატურით, მეფე აფხაზთა, კახთა, რანთა...

– არა, პუტინი ძირითადად მეოცე საუკუნეზე საუბრობს.

– ალბათ. ის ისტორია თანამედროვეობაში გადმოიტანა და თავისთვის სასარგებლო ვერსიით წარმოადგინა.

– არ ვიცი, მსგავსი „ისტორია“ ვინ დაუწერა, რატომ და რისთვის. პუტინი ამბობს, ეს საქართველო არ იყოო, ანუ მეოცე საუკუნეში საქართველოს არსებობასაც კი უარყოფს. ეს არის ძალიან სახიფათო განცხადებები. ამაში პუტინის მომავალი მიზნები და გეგმებია ჩადებული.

ქართული მხარის, ჩვენი ხელისუფლებების (დაწყებული შევარდნაძის დროიდან) შეცდომა ის არის, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში უმაღლეს დონეზე (პრეზიდენტი, პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე) ისტორიულ თემებზე ამგვარ განცხადებებს ყურადღებას არ აქცევდნენ. როგორც ახლა გამოჩნდა, ეს იყო შეცდომა.

რაღაც დონეზე ისტორიის შესახებ განცხადებებს ყურადღებას ვაქცევდით, აფხაზეთის ისტორიის თემაზე ჩვენი მეცნიერები მუშაობდნენ, უამრავი წიგნია გამოცემული სხვადასხვა ენაზე.

– ეკონომიკურ სანქციებს ყურადღება რომ არ მივაქციოთ, პუტინი დღეს საქართველოსთვის ისედაც ძალიან საშიშია. პუტინმა ყალბი ისტორია არა მარტო აფხაზეთზე, არამედ ცხინვალის რეგიონზეც, ანუ შიდა ქართლის მთიანეთზეც წარმოადგინა.

– პუტინი საუბარს ცხინვალის რეგიონით იწყებს და ამბობს, რომ 1774 წელს ორივე ოსეთი, ჩრდილოეთი და „სამხრეთი“ რუსეთს შეუერთდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწი-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჭიდაობის ფედერაციამ „ოცნების“ დეპუტატის დის სასჯუმროს 1.6 მილიონი გადაურიცხა

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს მიერ ჭიდაობის ფედერაციის შესახებ გავრცელებული კვლევიდან ირკვევა, რომ გასული ოთხი წლის განმავლობაში გაწეული მომსახურებისთვის ფედერაციამ 1.600.000 ლარი გადაურიცხა სასტუმროს, რომლის მფლობელი უმრავლესობის წევრის, დეპუტატ ლერი ხაბელოვის დაა.

თავად ხაბელოვი წარსულში მოჭიდავე და 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი იყო. 2012 წლიდან ის საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და პარლამენტის წევრია „ქართული ოცნებიდან“.

საერთაშორისო გამჭვირვალობის კვლევაში საუბარია ჭიდაობის ფედერაციაში სავარაუდო კორუფციის სხვა გამოვლინებებზეც. მაგალითისთვის, 2017 წლის დეკემბერსა და 2018 წლის იანვარში ფედერაციის პრეზიდენტმა გეგა გეგეშიძემ 40.000 ლარის ოდენობის პრემია მიიღო, ხოლო ადმინისტრაციის უფროსმა და კიდევ ერთმა თანამშრომელმა დაახლოებით 27.000 ლარის ოდენობის. როგორც კვლევაშია ნათქვამი, სხვებზე გაცემულ პრემიებს ეს სამი გაცილებით აღემატება.

ჭიდაობის ფედერაციაში არსებულ დარღვევებზე საჯაროდ საუბარი იანვარში მომხდარი ინციდენტის შემდეგ დაიწყო მოჭიდავე ზურაბ დათუნაშვილმა.

11 იანვარს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატის ფინალის დღეს სპორტის სასახლეში დაპირისპირებისას მოჭიდავე ზურაბ დათუნაშვილს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გეგა გეგეშიძე ფიზიკურად გაუსწორდა. თვითმხილველის მიერ ტელეფონით გადაღებულ ვიდეოში ჩანს, რომ გეგა გეგეშიძეს ხელში ჯაჭვი უჭირავს, რომელსაც მოჭიდავის მიმართულებით იქნევს, შემდეგ კი მუშტს ურტყამს. თავად გეგა გეგეშიძე დარტყმის ფაქტს უარყოფს და დაპირისპირების ფაქტს „უფრო შეხლა-შემოხლას“ უწოდებს. მას სასამართლომ აღკვეთოს ღონისძიების სახით 5.000-ლარიანი გირაო შეუფარდა და ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზეც დატოვა.

კომერსანტი

შემოდგომაზე ქართული ზეთისხილის პროდუქცია დუბაის კარფურის ქსელში გაიყიდება

„ჯერჯერობით ექსპორტზე არ ვართ აქტიური, ერთი პარტია ბელორუსიაში გავუშვით, რუსეთშიც გავგზავნეთ ზეთისხილის პროდუქცია, იმ კვირაში კი ჩინეთში გაგვაქვს ექსპორტზე. კიდევ აპირებენ შეკვეთას სექტემბრისთვის და რეალიზაცია ნორმალურია. უცხოურ ბაზარზე აქტიურად რომ ვიყოთ გადართული, ჯერჯერობით ეს მდგომარეობა არ გვაქვს. – კომპანია „ჯეოლაივის“ დამფუძნებელი გიორგი სვანიძე ზეთისხილის ბაზრის ექსპორტზე საუბრობს.

კომპანია „ჯეოლაივმა“ ქართულ ზეთისხილი და ზეითუნის ზეთი ექსპორტზე წელს პირველად გაიტანა. როგორც „კომერსანტს“ კომპანიის ხელმძღვანელმა გიორგი სვანიძემ განუცხადა, საექსპორტო ქვეყნები ამ ეტაპზე ბელორუსია, რუსეთი და ჩინეთია.

მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში კი ზეთისხილის პროდუქცია დუბაის კარფურის ქსელს მიეწოდება, რომელიც სათავო ოფისს წარმოადგენს, შემდგომ კი სწორედ აქედან განაწილდება სხვა ქვეყნების ქსელებში. კარფურის ცენტრალური ოფისისგან ლოგოს გამოყენების უფლების მოპოვებამ კომპანიას სხვა ქვეყნის „კარფურის“ ქსელში პროდუქციის შეტანა გაუადვილა.

– ჯერჯერობით საქართველოს „კარფურის“ ყველა ქსელში ვართ შესული, დუბაიში „კარფურის“ სათავო ოფისთან გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად ნოემბრიდან დაიწყება მიწოდება სხვა ქვეყნებში, თუმცა რომელ ქსელში და რომელ ქვეყნებში, ამას ვერ გეტყვით ეს მათი გადასაწყვეტია. მოთხოვნა ძალიან დიდია, თუმცა მიწოდებისთვის საკმარისი რესურსი არ არის.

ამ სეზონის მოსავალს ველოდებით და გაისად 150 ჰექტარი გვემატება. ასევე, 2000 ჰექტარზე ვაშენებთ დედოფლისწყაროში პლანტაციებს და ჯამში 3.000 ჰექტარს მოვიცავთ. თოთო ბავშვივით იზრდება საქართველოში ზეთისხილის კულტურა და ტრადიციები. ზეთისხილი ჩვენს ქვეყანაში ახალი მიმართულებაა, რომელიც საკმაოდ შემოსავლიანია და ნელ-ნელა იდგამს ფეხს, უცებ ვერ ვითარდება. ჩვენ ძალიან ბედნიერები ვართ, რომ გლეხებმა დაიწყეს ზეთისხილის გაზრდა. მე ვფიქრობ, რომ როგორც ყურძენი და როგორც თხილი, ეს იქნება წამყვანი კულტურა საქართველოში. – აღნიშნა გიორგი სვანიძემ.

ქართული ზეთისხილის ზეთი 250-გრამიან, 500-გრამიან და 750-გრამიან მინის ქილებში იყიდება. ზეთისხილის მარინადი კი – 250.500 და 750-გრამიან მინის ქილებშია წარმოდგენილი.

ქართული ზეთისხილის ზეთის ფასი ნახევარლიტრიან ქილაში 13 ლარიდან – 16 ლარამდე მერყეობს, ხოლო 250-გრამიანი ქილის ფასი 7 ლარიდან 9 ლარამდეა.

კომპანიას ზეთისხილის ნერგები 50 ჰექტარზე აქვს გაშენებული. „ჯეოლაივი“ რამდენიმე წელია საქართველოში ზეთისხილის პლანტაციების გაშენებით არის დაკავებული. ძირითადი პლანტაციები და ქარხანა კახეთშია განთავსებული. კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტის საერთო საინვესტიციო ღირებულება დაახლოებით 5 მილიონი ლარია.

ამჟამად ქართული ზეთისხილის ზეთი და ზეთისხილი კარფურში, გუდვილში, ნიკორასა და აგროჰაბში შედის.

კომერსანტი

მარიამ ქვრივიშვილი: „2019 წელს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას რუსეთის ბაზარზე არც ერთი თეთრი არ დაუხარჯავს“

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი 2013-19 წლებში მარკეტინგული კამპანიისთვის დახარჯულ თანხებზე მედიასთან საუბრობს. მარიამ ქვრივიშვილის განცხადებით, 2019 წელს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას რუსეთის ტურისტულ ბაზარზე ნულოვანი დანახარჯი აქვს.

– ხაზგასმით გვინდა განვაცხადოთ, რომ 2019 წელს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას რუსეთის ბაზარზე არცერთი თეთრი არ დაუხარჯავს.

2013-2019 წლების პერიოდში ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ქვეყნის სწორი პოზიციონირებისა და ტურისტების მოზიდვის მიზნით საერთაშორისო ბაზარზე ჯამში 70,707,893 ლარზე მეტი დახარჯა. რუსეთის ბაზარზე კი -13 მილიონი ლარი, რაც ჯამური დანახარჯის მხოლოდ 18.6% პროცენტს შეადგენს.

ამასთანავე შეგახსენებთ, რომ 2019 წლის დასაწყისიდან ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ მარკეტინგული დანახარჯები გაიწეოდა შემდეგ მიმართულებებზე: ევროკავშირისა და სპარსეთის ყურის ქვეყნები, აშშ, ჩინეთი და იაპონია, ხოლო რუსეთში არ დაიხარჯებოდა საბიუჯეტო სახსრები შემდეგი მიზეზიდან გამომდინარე – ბოლო წლების განმავლობაში რუსეთიდან ტურისტულმა ნაკადმა გარკვეულ ნიშნულს მიაღწია და ჯამურად ბოლო წლებში საქართველოში სტუმრად ჩამოსული რუსი ტურისტების რაოდენობამ რამდენიმე მილიონი შეადგინა. – განაცხადა მარიამ ქვრივიშვილმა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განმარტებით, ქვეყნის სწორმა პოზიციონირებამ გამოიღო:

– საქართველო არის ევროპული ქვეყანა, თავისუფალი ხალხით და ევროპული ფასეულობებით, ისტორიით, თანამედროვეობით და უსაფრთხო გარემოთი – ეს არის პოზიცია, რომელსაც ამკვიდრებდა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ნებისმიერი მარკეტინგული აქტივობა. როდესაც ქვეყნის სწორმა პოზიციონირებამ გამოიღო შედეგი, ჩვენ აღარ გვიწარმოებია მარკეტინგული კამპანია რუსეთში.

აქედან გამომდინარე ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ჩათვალა, რომ ჩვენი კერძო სექტორი აღარ საჭიროებდა ჩვენს დახმარებას აღნიშნულ ტურისტულ ბაზარზე და ჩვენგან დამოუკიდებლადაც განაგრძობდა წარმატებულ საქმიანობას. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ 2019 წელს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას რუსეთის ტურისტულ ბაზარზე აქვს ნულოვანი დანახარჯი, – აცხადებს მარიამ ქვრივიშვილი.

კომერსანტი

ბახტაძე: „პენსიონერები და შშმ პირები წამლებს ერთ ლარად იყიდიან“

ქრონიკული დაავადების სამკურნალო მედიკამენტების პროგრამაში ცვლილება შედის – საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ პენსიონერებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს 35 დასახელების მედიკამენტების შეძენა ერთ ლარად შეეძლებათ.

– დღეიდან არსებული დიფერენცირება იხსნება და სოციალურად დაუცველ პირებთან ერთად, ყველა ჯგუფს, პენსიონერებს, შშმპ და სხვა პირებს შეეძლებათ მედიკამენტების შეძენა ერთ ლარად. საუბარია 35 დასახელების მედიკამენტზე, რომელიც, ძირითადად, მოიხმარება 6 ქრონიკული დაავადებისას. ეს გახლავთ გულსისხლძარღვთა, ფარისებრი ჯირკვლის, დიაბეტის, ფილტვის, ეპილეფსიისა და პარკინსონის დაავადებები, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

კომერსანტი

ჯემალ გამახარია: „პუტინმა საქართველოს ისტორიის დამახინჯებით თავისი გეგმა გაამჟღავნა“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ფო. ეს ისეთი სიცრუეა, ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიაში ოდნავ თუ ხარ ჩახედული (ამას დიდი ისტორიკოსობაც არ სჭირდება), ყველაფერი გასაგებია. არავითარი ორი ოსეთი მაშინ არ არსებობდა.

1922 წლამდე სად იყო „სამხრეთ ოსეთი“, არავითარი მსგავსი ადმინისტრაციული ერთეული არ არსებულა. 1774 წელს როგორ შეუერთდა ეს არარსებული „ადმინისტრაციული ერთეული“ რუსეთს?

– ბატონო ჯემალ, საკითხავი ისიც არის, 1774 წელს ოსეთი საერთოდ არსებობდა?

– რა თქმა უნდა, არ არსებობდა. მაშინ ყაბარდო შეუერთდა რუსეთს, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ის ტერიტორია, რომელსაც დღეს ჩრდილოეთ ოსეთი ჰქვია. „სამხრეთ ოსეთი“ – ასეთი არც ადმინისტრაციული ერთეული და არც ტერმინი მაშინ არ არსებობდა, პუტინი კი ლაპარაკობს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, შეუერთდაო, რაც ზღაპარია.

შემდეგ პუტინი გადადის აფხაზეთზე. 1810 წელს აფხაზეთი, როგორც „დამოუკიდებელი სახელმწიფო“, რუსეთს შეუერთდაო. 1810 წელს აფხაზეთი რუსეთმა შეიერთა, როგორც საქართველოს ერთ-ერთი ქართული პროვინცია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დოკუმენტი, რომლის ძალითაც აფხაზეთი რუსეთს შეუერთდა, ქართულად არის დაწერილი. აფხაზეთი, როგორც ქართული პროვინცია, ისე შევიდა რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ.

– როგორც სხვა კუთხეები.

– დიახ, მაშინ ერთიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არსებობდა. პუტინი შემდეგ 1918 წელზე გადადის და თურმე ჩვენ შემდეგ მოვუწყვეთ გენოციდი აფხაზებსა და სომხებს. ის საუბრობს გერმანელების მონაწილეობაზე და ა.შ. 1918 წლის ზაფხულში აფხაზეთში შემოვიდა ე.წ. თურქული დესანტი, რომელიც შედგებოდა მოჰაჯირებისაგან, მაგრამ ისინი თურქული არმიის მოქმედი მოსამსახურეები, ჯარისკაცები იყვნენ. საქართველოს ეროვნულმა გვარდიამ მოახერხა ამ თურქული დესანტის იზოლაცია და მათი გაყვანა.

ეს მოხდა ოჩამჩირის რაიონში. ეროვნულმა გვარდიამ მაშინ თუ ვინმე გამოიყენა, რუსი კაზაკები იყვნენ, რომლებიც ბოლშევიკებმა რუსეთიდან გამოაქციეს და შეიფარა საქართველომ. ისინი ძალიან სასტიკად ექცეოდნენ აფხაზ მოსახლეობას, მაგრამ იქ ხალხი არ დაუხოცავთ, რამდენიმე სოფელში სახლები გადაწვეს. ამას ეძახის პუტინი გენოციდს.

თურქული დესანტის წინააღმდეგ თვითონ აფხაზებიც მოქმედებდნენ, ეროვნულ გვარდიაში აფხაზებიც მსახურობდნენ. ეს ძალიან ელემენტარული საკითხია. ამის დოკუმენტები არსებობს. ამ დესანტთან დაკავშირებით სახალხო საბჭოს გამოცემული დოკუმენტები არსებობს, რომელ გენოციდზეა საუბარი.

– გენოციდი რუსებმა არ მოუწყვეს აფხაზებს და არ გაასახლეს?

– დიახ, მოჰაჯირობასა და ნამდვილ გენოციდზე პუტინი დუმს.

– დაავიწყდათ, რუსებმა აფხაზები დამნა შავე მოსახლეობად რომ გამოაცხადეს?

– დიახ, ეს ყველაფერი ისტორიული ფაქტია. 1880 წლის შემდეგ ვინ დარჩა – უმრავლესობა გადაასახლეს, დარჩა უმცირესობა და (1907 წლამდე) დამნა შავე ერად გამოაცხადეს.

– თვითონ რუსებმა რა გააკეთეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, იმაზე ილაპარაკონ, რა ცეცხლი დაანთეს, როგორ გადაწვეს და ბულდოზერებით როგორ გადაასწორეს სოფლები, როგორ დახოცეს ადამიანები და გამოდევნეს საკუთარი მიწიდან.

– დიახ, მთელი აფხაზეთი, სამაჩაბლო და ცხინვალის რეგიონის სოფლები გადამწვარია. პუტინისა და მისი ისტორიის მასწავლებლების წარმოუდგენელი დონის აღმოჩენაა, საქართველო რომ არ არსებობდა და აფხაზეთის შემადგენლობაში შედიოდა. პუტინსა და მის მასწავლებლებს საბჭოთა კავშირის 1924 წელს მიღებულ კონსტიტუციაში რომ ჩაეხედათ, იქ შავით თეთრზე წერია, რომ აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკაა. მხოლოდ ეს არის საკმარისი იმისათვის, რომ გავიგოთ, როგორი იყო აფხაზეთის სტატუსი.

საქართველოს კონსტიტუციაში აფხაზეთი კი წერია, როგორც საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკა, მაგრამ, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი. 1920 წლის ხელშეკრულებაში წერია, რომ საზღვარი გადის მდინარე ფსოუზე და აქეთა ტერიტორიები უპირობოდ შედის საქართველოს შემადგენლობაში. ამას რუსებმა მოაწერეს ხელი. დავა არც კი ღირს, ისეთი მონაჩმახი და ყურით მოთრეული სიყალბეა წარმოდგენილი, მაგრამ ეს მათი მხრიდან შემთხვევითი არ არის.

– პუტინი, ალბათ, რუსეთის ისტორიის მიმართაც უკმაყოფილოა, რადგან რუსეთი სად იყო, საქართველო რომ არსებობდა და თავის სიტყვას ამბობდა.

– კი ბატონო. საქართველოს ისტორიის შესახებ პირველად გახმოვანდა რუსეთის პრეზიდენტის მიერ. ეს არის პრობლემა, თორემ 1907 წელს, მეფის რუსეთის დროს დაიწერა: „აფხაზია ნე გრუზია“.

– ჩანაფიქრი იყო საქართველოს დაქუცმაცება.

– დიახ, მაშინ იყო ეს ჩაფიქრებული, მაგრამ იმპერატორსა და გენერალურ მდივნებს ეს არ უთქვამთ, პრეზიდენტი კი ამბობს. პუტინმა ეს პირველად 2008 წელს თქვა და ახლა დიდი პროვოკაციით დააგვირგვინა. პუტინის განცხადებებში ძალიან დიდი პროვოკაციაა ჩადებული.

– ბატონო ჯემალ, პუტინი ბიბლიოთეკებში რომ არ ვატაროთ, აფხაზეთის ისტორიიდან რამდენიმე ფაქტი წარმოვადგინოთ.

– რუსი ისტორიკოსის ტატიშევის (პეტრე პირველის დროინდელი მოღვაწე და რუსული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი შრომები რუსული ისტორიოგრაფისთვის, როგორც წყარო, ისეა განხილული, როგორც ჩვენთვის ვახუშტის შრომები) შრომებში აფხაზეთზე პირდაპირ ამბობს: „ეს არის ჩრდილოეთ სამეგრელო, რომელიც ამჟამად ყუბანელებით არის დასახლებული“, ანუ ჩამოსახლებულები რომ არიან, ისიც არის მითითებული. ყუბანელებს ეძახდნენ იმ ჩერქეზებს, რომლებიც მართლა ჩამოსახლდნენ ჩრდილოეთ სამეგრელოში.

ასევე ავიღოთ ასეთი რუსული ისტორიული წყარო: 1636-1640 წლებში მოხდა ელჩების გაცვლა სამეგრელოს სამთავროსა და რუსეთის სახელმწიფოს შორის. ეს ყველაფერი რუსმა ელჩებმა აღწერეს, როგორ მოიარეს მათ სამეგრელო, რა ნახეს. რუსი ელჩები დადიან სამეგრელოს ტერიტორიაზე, არიან დრანდაში, მოგვში და ლაპარაკობენ, რომ ჩვენი პატრიარქი ბიჭვინთაში ზის, რომელსაც სამეგრელოს ხელმწიფე ნიშნავს და ათავისუფლებს. ე.ი. ბიჭვინთაც ჩვენია. ელჩები დრანდაში იყვნენ, მაგრამ იქ არაფერი აფხაზური არ უნახავთ, ყველაფერი ქართულია, ქართული წირვა-ლოცვა და აშ. ამაზე მეტი რუსული წყარო რა გინდათ.

20 ივნისის აქციაზე დაკავებულ სპეცრაზმელს ბრალი წარედგინა

„გავრილოვის სისხლიან ღამეზე“ დაკავებულ სპეცრაზმელს პროკურატურამ ბრალი წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი დაკავებულ იქნა სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

პროკურატურა სასამართლოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით მიმართავს.

საქმე ეხება იურისტ დავით ნიორაძის დაკავებას 21 ივნისს გამთენიისას.

პროკურატურის მიერ გავრცელებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ უსწორდება პოლიციელი ნიორაძეს, თუმცა არქივში ინახება ის კადრებიც, საიდანაც ირკვევა, რომ ნიორაძის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა ჯგუფურ ძალადობას.

ნიორაძემ დაკავებისას სპეცრაზმელების მხრიდან ძალადობის გამო მძიმე დაზიანებები მიიღო და მას დაზარალებულის სტატუსი აქვს მინიჭებული.

თბილისში მშენებარე კორპუსიდან არასრულწლოვანი მუშა გადმოვარდა და დაიღუპა

თბილისში, დოლაბაურის ქუჩაზე, მშენებარე კორპუსიდან მუშა გადმოვარდა და დაიღუპა.

მუშა არასრულწლოვანი იყო. მოზარდმა ობიექტზე მუშაობა რამდენიმე დღის წინ დაიწყო. ის ლიფტის შახტში ჩავარდა და ადგილზე დაიღუპა. ცხედარი პროზექტურაშია გადასვენებული.

ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებით, მომხდარზე შრომის ინსპექცია აწარმოებს მოკვლევას და დეტალები უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი. წინასწარი მონაცემებით კი, სამშენებლო ობიექტზე დარღვეული იყო უსაფრთხოების ნორმები.

– პირველადი მონაცემებით, რაც ამ ეტაპზე მაქვს, ნამდვილად დარღვეული იყო უსაფრთხოების ნორმები. კერძოდ, მიმდინარეობდა ლიფტის დემონტაჟი, რა დროსაც გაწყდა ბაგირი და კონკრეტულ დეტალებს ინსპექტირების ჯგუფი ახლა იკვლევს და უახლოეს მომავალში გახდება პერიოდში, – განაცხადა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსმა, ბექა ფერაძემ.

შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონი პარლამენტმა 2019 წლის თებერვალში მიიღო. კანონი არეგულირებს სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, განსაზღვრავს არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს და უბედური შემთხვევების პრევენციას ახდენს.

– შრომის უსაფრთხოებს კანონი ახალი მიღებულია, ამიტომ ჯამში საქართველოს მასშტაბით, დაახლოებით, 460 ობიექტზე განხორციელდა ინსპექტირება, მათ შორის კონკრეტულად თბილისში 70-მდე კომპანიაში მშენებლობაზე მოხდა ინსპექტირება და უმეტეს მათგანში 60-მდე კრიტიკული შეუსაბამობის აღმოჩენის გამო მოხდა სამუშაო პროცესის შეჩერება, – განაცხადა ბექა ფერაძემ.

ჯანდაცვის სამინისტრომ დოლაბაურის ქუჩაზე სამშენებლო პროცესი შეაჩერა.

არასამთავრობო სექტორის განცხადებით, ადამიანების დაღუპვა სამუშაო ადგილებზე ჩვენი საზოგადოების რუტინად იქცა, გამოსავალი კი შრომის უსაფრთხოების სტანდარტების რეალური დაცვაა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც სამთო სამშენებლო ან სხვა სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების ნორმების წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

თამარ მეფის ხიდიდან მამაკაცი გადახტა

თბილისში თამარ მეფის ხიდიდან მამაკაცი გადახტა. სავარაუდოდ, მან თვითმკვლელობა ცადა.

სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებმა მამაკაცი მტკვრიდან დროულად გამოიყვანეს და მისი გადარჩენა შეძლეს.

მამაკაცის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ფაქტზე შსს-მ გამოძიება უკვე დაიწყო.

„რუსთავი 2“-ის მეწილე ნინო ნიჟარაძემ ნიკა გვარამიას პროკურატურაში უჩივლა

„რუსთავი 2“-ის ცხრაპროცენტიანი წილის მფლობელ ნინო ნიჟარაძის ადვოკატმა გენერალურ პროკურატურაში არხის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა.

– 2014 წლიდან ვითხოვთ სხვადასხვა დოკუმენტაციის გადმოცემას, მაგრამ ეს არ მოხდა და დოკუმენტები, რომელიც მივიღეთ, აშკარად გამოიკვეთა კომპანიის ხელმძღვანელის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტები.

ეს არის 220-ე მუხლი, ასევე 182 და 205-ე პრიმა მუხლები. იმ პერიოდში, როდესაც კომპანიას საოპერაციო ხარჯები გაეზარდა და საჭირო იყო უფრო მეტი შემოსავლების ინტეგრირება სარეკლამო შემოსავლებიდან, კომპანიის ხელმძღვანელმა ფიქსირებულ, მოჭრილ შემოსავალზე გაუფორმა კონტრაქტი ინტერმედიას, ეს აშკარად არის მისი მხრიდან კომპანიის საზიანო მოქმედება და ეს გააკეთა მაშინ, როცა ინტერმედიასგან მეტი შემოსავლები შემოდიოდა, ასეთ პერიოდში კონტრაქტი დაბალ თანხაზე გაფორმდა.

ეს არის გაუგებარი, თუ რატომ გაფორმდა წამგებიანი ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით ინტერმედიას შემოსავლები პრაქტიკულად დამალული იქნა პარტნიორებისთვის. ნათელი გახდა, რომ შემოსავლის მეტი წილის აკუმულირება ხდება სხვადასხვა კომპანიაში.

უკანასკნელი კომპანია, სადაც ხელშეკრულებაა გაფორმებული, არის სხვა ინტერმედია და მისი დამფუძნებელი ერთი-ერთი მიხეილ მშვილდაძეა. არსებობს საფუძველი, რომ ხდება თანხების აკუმულირება, ე.წ. გადაქაჩვა სხვა სატელევიზიო კომპანიებში, – განაცხადა ადვოკატმა.

პროკურატურამ შსს-ს თანამშრომელი დააკავა

„21 ივნისს მან აქციის ორ მონაწილეს დაზიანებები მიაყენა“

20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს კიდევ ერთი თანამშრომელი დააკავეს.

ამის შესახებ გენერალურ პროკურატურაში გუშინ, 16 ივლისს, საღამოს გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს.

საგამოძიებო უწყების ცნობით, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელმა, იარაღის გამოყენებით, გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, კერძოდ, დაარღვია სპეციალური საშუალების გამოყენების კანონით განსაზღვრული წესი და ჯანმრთელობის დაზიანებები მიაყენა აქციის ორ მონაწილეს.

– მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ 20-21 ივნისს, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართული აქციის ცალკეული მონაწილეების მიმართ სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, საქართველოს პროკურატურამ შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ

დავალებათა დეპარტამენტის კიდევ ერთი თანამშრომელი დააკავა.

გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ 2019 წლის 21 ივნისს, რუსთაველის გამზირზე, საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად მიმართული ღონისძიებების განხორციელებისას, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელმა, იარაღის გამოყენებით, გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, კერძოდ, დაარღვია სპეციალური საშუალების გამოყენების კანონით განსაზღვრული წესი და ჯანმრთელობის დაზიანებები მიაყენა აქციის ორ მონაწილეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი დაკავებულია იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

ბრალდების მხარე მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით დაკავებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 20-21 ივნისის აქციის ცალკეული მონაწილეების მიმართ სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე ინტენსიური გამოძიება მიმდინარეობს. მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს გენერალური პროკურატურა გამოძიების შედეგებს ეტაპობრივად აცნობებს საზოგადოებას, – აცხადებენ პროკურატურაში.

გეგა გეგეშიძე: „თუ რამე დავაშავე და დამიმტკიცებენ, მე ვაგებ პასუხს!“

– მე არასდროს ამიღია პრემია, ერთი თეთრი არ ამიღია, ვერავის ასეთი ინფორმაცია ვერ ექნება.

ამის შესახებ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, რითაც გამოეხმაურა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ რეკომენდაციას, რომ პროკურატურა ჭიდაობის ფედერაციაში არსებული სიტუაციით უნდა დაინტერესდეს.

გეგეშიძე უარყოფს, რომ მან 2017 წლის დეკემბერსა და 2018 წლის იანვარში 40.000 ლარის პრემია აიღო. ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი განმარტავს, რომ ფედერაციას ფულს ოლიმპიური კომიტეტი და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საჭიროებისამებრ ურიცხავს ხოლმე.

გეგეშიძის თქმით, ფედერაცია სწორედ მათ წინაშეა ანგარიშვალდებული. მისი მტკიცებით, სამინისტრო ფედერაციას არც ერთ მსგავს გადაცდომას არ პატიობს და, შესაბამისად, თანხების არამიზნობრივ ხარჯვას ადგილი ვერ ექნება.

– მე არასდროს ამიღია პრემია. ერთი თეთრი არ ამიღია. ვერავის ასეთი ინფორმაცია ვერ ექნება. ტყუილია ეს ინფორმაცია. მე არასდროს არც ერთი თეთრი არ ამიღია არსად. როგორ ან საიდან უნდა ამეღო?! ფედერაციის ბიუჯეტიდან მე ხელფასი არ მეკუთვნის, ისე ვარ ხელმძღვანელი. ჩემი თავი სადმე თუ გავაფორმე და რამე ავიღე, ეგეთი საბუთი თუ სადმე მოგეძებნებათ, მითხარით. შეიძლება, ვიღაცა იტყუება. მე ასეთი რამე პირველად მესმის.

ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტს ხელფასი არ ეკუთვნის, პრემია კი ეკუთვნის, მაგრამ მე არ ამიღია. ისეთ რაღაცაზე მესაუბრებით ახლა, რომ მიკვირს. ჭიდაობის ფედერაციაში ყოველგვარი კორუფცია და თანხების არამიზნობრივი ხარჯვა გამორიცხულია.

ჩვენ გვაკონტროლებს სამინისტრო, ჩვენ გვაკონტროლებს ოლიმპიური კომიტეტი. ასე, რომ რასაც ჩვენ ვითხოვთ, შეკრება იქნება თუ შეჯიბრი, ეს არის შეთანხმებული ოლიმპიურ კომიტეტთან და სამინისტროსთან. სამინისტრო ყველაფერზე გვთხოვს საბუთს – ჭამა-სმაზე, ტრანსპორტირებაზე და ა.შ. ოლიმპიური კომიტეტი იქნება თუ სამინისტრო, ზუსტად იმ თანხას გვირიცხავს, რაც სჭირდება მომზადებას, შეკრებას, შეჯიბრს და ა.შ. ასე, რომ ჩვენ ჩვენი ფული არ გვაქვს, რომ სადმე გავანიავოთ, – განაცხადა გეგა გეგეშიძემ.

ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი მზად არის, საჭიროების შემთხვევაში გამოძიებასთან ითანამშრომლოს.

მისი თქმით, თუ ფედერაციაში ვინმე რამეს აშავებს, ის უნდა დაისაჯოს. ამასთან, გეგეშიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუ მის წინააღმდეგ გაჟღერებული ბრალდებები არ დადასტურდება, მას ბოდიში უნდა მოუხადონ.

– თუ პროკურატურა თვლის, რომ ჩვენს ფედერაციაში ხდება კორუფცია და ვინმე რამეს აშავებს, მე მზად ვარ ვითანამშრომლო გამოძიებასთან. თუ ვინმე რამეს აშავებს, რა თქმა უნდა, ის უნდა დაისაჯოს. მაგრამ ვიღაცის ჭორის დონეზე, რომ ის ამას და იმას აკეთებს, არ ხდება.

თუ დავამტკიცებთ, მაშინ ვსჯით დამნაშავეს. ზეპირსიტყვიერად არ ხდება. მე თუ რამე დავაშავე, უნდა დამიმტკიცონ. თუ დამიმტკიცებენ, მე ვაგებ პასუხს, მაგრამ თუ ვერ დამიმტკიცებენ, მაშინ ბოდიში უნდა მომიხადოს ამ საქციელისთვის ყველამ, – განაცხადა გეგა გეგეშიძემ.

„საქართველოს ბანკზე“ თავდასხმისთვის კ.ჩ.-ს 11 წელი მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობისთვის და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისთვის ბრალდებული კ.ჩ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 20 დეკემბერს, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი კ.ჩ. ცეცხლსასროლი იარაღითა და ცულებით შეიარაღებულ სამ პირთან ერთად, ვაზისუბნის მე-4 მიკრორაიონში მდებარე ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ექსპრესფილიალის თანამშრომლებს თავს დაესხა და სიცოცხლისთვის საშიში ძალადობითა და ძალადობის გამოყენების მუქარით სალაროდან ს.ს. „საქართველოს ბანკის“ კუთვნილი დიდი ოდენობით 31301.21 ლარი და 1400.1 ლარის ოდენობის ე.წ. „ცხელი ფული“ (ფულის კუპიურების შეკვრის იმიტაცია-მულიაჟი) გაიტაცა.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით ასევე დადასტურდა, რომ კ.ჩ-მ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და მის საცხოვრებელ ბინაში ინახავდა „მაკაროვის“ კონსტრუქციის ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას.

სამართალდამცველებმა კ. ჩ. 2018 წლის 27 დეკემბერს ქ.თბილისში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა,ბ“, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით, ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით) და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ კ.ჩ დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ასპინძაში ყოფილი ფეხბურთელი ბ.მ. მოკლეს

დაბა ასპინძაში ყოფილი ფეხბურთელი მოკლეს. 53 წლის ბ.მ.-ს საკუთარ სახლში მეგობარმა ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა.

მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. შემთხვევა 15 ივლისს, დაახლოებით 21:00 საათზე მოხდა.

სამართალდამცველებმა 48 წლის კაცი დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

– ერთად იყვნენ სულ, მშენებლობებზეც ერთად მუშაობდნენ. ხშირად სვამდნენ. გავიგეთ, რომ როცა მოკლა, პოლიციაში ავიდა და ყველაფერი აღიარა, – ამბობენ ადგილობრივები.

ზელენსკის პარტიას მხარს 40% უჭერს

უკრაინა არჩევნების წინ

ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. უკრაინაში პარტიების რეიტინგები ერთი-მეორის მიყოლებით ქვეყნდება.

პროპრეზიდენტული „ხალხის მსახურის“ მხარდაჭერა შემცირდა. მიუხედავად ამისა, ის კვლავ მტკიცე ლიდერობას ინარჩუნებს. ზელენსკის პარტიას მხარს უჭერს 40%. მეორეზეა პრორუსული „ოპოზიციური ბლოკი სიცოცხლისათვის“ (ლიდერი ვიქტორ მედვედჩუკი). მას მხარს უჭერს 10%. მესამეა პეტრო პოროშენკოს „ევროპული სოლიდარობა“ – 9,7%).

იულია ტიმოშენკოს „ბატკივშინას“ 8% ემხრობა. პარლამენტში მოხვედრის შანსი აქვს გენერალ სმეშკოს ორგანიზაციას „ძალა და ღირსება“. მისი რეიტინგი 5%-ია. პარლამენტში მოსახვედრად კი ზუსტად 5%-იანი ბარიერის გადალახვაა აუცილებელი.

ექსპერტ დიმიტრი გორდონის აზრით, ახალ პარლამენტში პროდასავლური ძალების დომინირება იქნება.

სავარაუდოდ, მმართველი კოალიცია შემდეგნაირად დაკომპლექტდება: „ხალხის მსახური“, „ბატკივშინა“, „ძალა და ღირსება“.

პრორუსული ძალები კი უმცირესობაში რჩებიან.

მაია სანდუ მოსკოვში არ ჩავა

რუსეთის პრემიერმა მედვედევმა მოლდოვის პრემიერი სანდუ მოსკოვში დაპატიჟა.

– დადგა დრო, როცა ჩვენ და მოლდოველებმა ურთიერთობები ბოლომდე უნდა გავარკვიოთ, – თქვა მედვედევმა.

ბოლომდე ურთიერთობის გარკვევა იმას ნიშნავს, რომ მოლდოვა ან ევრაზიულ კავშირში სრულუფლებიანი წევრის სტატუსით შესვლას უნდა დათანხმდეს ან ფედერალიზაციას მოაწეროს ხელი. მაია სანდუმ მოსკოვში ვიზიტზე თავაზიანი უარი განაცხადა.

– რასაკვირველია, რუსეთთან ურთიერთობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ ეტაპზე მოსკოვში ვიზიტი ნაადრევია! – თქვა მან.

რუსეთი საქართველოსა და უკრაინაში პრობლემებს წააწყდა. მოლდოვის პრემიერიც ცდილობს, ეს გამოიყენოს. მან უკვე განახორციელა ვიზიტები ბრიუსელში, ბუქარესტში, კიევში. სანდუ ქვეყანაში ფართომასშტაბიანი რეფორმების გატარებისთვის უცხოური ინვესტიციების მიზიდვისაკენ ისწრაფვის. კიევში ვიზიტით მან უკრაინის ახალი ხელმძღვანელობის სრული მხარდაჭერა მიიღო.

– ჩემი და ჩემი გუნდის კურსი ურყევია! მოლდოვის სუვერენიტეტის დაცვა, ევროინტეგრაცია, ფართომასშტაბიანი რეფორმები, კორუფციასთან ბრძოლა, – ამბობს სანდუ.

რაც შეეხება რუსეთში ვიზიტს, ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის შედგება იგი.

ამერიკელი დემოკრატები ტრამპს რასიზმში ადანაშაულებენ

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მორიგი ექსცენტრიული განცხადება გააკეთა.

მან თქვა, რომ აშშ-ის დემოკრატიული პარტიის წევრი ქალები წარმოშობით იმ ქვეყნებიდან არიან, რომელთა მთავრობებიც კორუფციაში არიან ჩაძირულნი და თავიანთი ქვეყნები კატასტროფის ზღვარზე მიიყვანეს.

– ეს ხალხი ჩვენ, ყველაზე ძლიერ ერს მსოფლიოში, გვასწავლის, თუ როგორ უნდა ცხოვრება?! სასაცილოა, – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის კონგრესის სპიკერმა დემოკრატმა ნენსი პალოსიმ პრეზიდენტის ამ განცხადებას მიუღებელი უწოდა.

მისი აზრით, ეს ჩვეულებრივი რასიზმია და მეტი არაფერი.

ფსბ-ს „ალფას“ უფროსი მოხსნეს

რუსეთის ფსბ-ს სპეცგანყოფილება „ალფას“ უფროსი კანაკინი მოხსნეს.

ექსპერტები თვლიან, რომ კანაკინის მოხსნა ცოტა ხნის წინ აზვირთებულ სკანდალს უკავშირდება, როდესაც „ალფას“ მებრძოლები და ოფიცრები ყაჩაღობის ფაქტზე დააკავეს.

მიუხედავად საკადრო წმენდებისა, რუსული უშიშროების კრიმინალიზაციის პროცესი არ წყდება. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ამჯერად ფსბ-ს 2 ოფიცერი – ბოგდანოვი და ივანოვი დააკავეს.

ისინი სასტუმრო „მოსქოუს“ მეპატრონეს ჰპირდებოდნენ, რომ გარკვეული თანხის საფასურად მოუგვარებდნენ კონფლიქტს იმ შენობის პატრონთან, სადაც სასტუმროა განთავსებული.

ბოგდანოვი წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება, ივანოვი კი – შინაპატიმრობაში.

ორივეს მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

ჩეჩნეთში თვითმფრინავი საცხოვრებელ სახლს დაეცა

ჩეჩნეთში მცირე ზომის თვითმფრინავი „ან-2“ საცხოვრებელ სახლს დაეცა, რის შედეგადაც 4 ადამიანი დაშავდა.

ინციდენტი დასახლებულ პუნქტ ნოვოშჩედრინსკაიაში მოხდა.

თვითმფრინავი აფრენისას ელექტროგადამცემ ხაზებს წამოედო. ამის გამო 4 სოფელი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა.

შემთხვევის შედეგად მფრინავი დაშავდა, მას ლავიწის ძვალი აქვს გატეხილი. სახლში მცხოვრები სამი ადამიანი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

კატასტროფის მიზეზი უსაფრთხოების წესების დარღვევა გახდა.

თვითმფრინავი დაღესტნის მკვიდრს ეკუთვნის.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გერმანიის მოსახლეობა რეკორდულად გაიზარდა

გერმანიაში მოსახლეობის რაოდენობამ 83 მილიონ ადამიანს გადააჭარბა.

ეს რეკორდია.

მოსახლეობის ზრდა ძირითადად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მიგრაციამ განაპირობა. სამაგიეროდ, სირიიდან, ერაყიდან, ავღანეთიდან და აფრიკიდან გერმანიაში ჩასული მიგრანტების რიცხვი ბოლო ორი წლის განმავლობაში თანმიმდევრულად მცირდება.

ევროპაში ყველაზე დიდი ეკონომიკის მქონე ეს ქვეყანა, მოსახლეობის დაბერების გამო, ბოლო წლებში სამუშაო ძალის დეფიციტს განიცდის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან შრომითი მიგრანტების იქ ჩასვლა ერთ-ერთი საუკეთესო გამოსავალია.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბითაძემ ინდიანასთან კონტრაქტი გააფორმა



პირველ სეზონში გოგა 2,82 მილიონ დოლარს მიიღებს

გოგა ბითაძე ერთ-ერთი იყო იმ 2 კალათბურთელიდან, რომელიც დრაფტზე პირველ რაუნდში იქნა არჩეული და ჯერ კონტრაქტი არ ჰქონდა გაფორმებული. ამის მიზეზი ამერიკის სამუშაო ვიზა იყო. თუმცა, მის აღებასთან დაკავშირებული პრობლემები მოგვარდა, გოგა ამერიკაში ჩავიდა და კონტრაქტიც გააფორმა.

19 წლის ქართველმა ცენტრმა ინდიანა პეისერსთან გააფორმა ახალბედისთვის გარანტირებული კონტრაქტი, რაც გარანტირებულად მოქმედებს პირველ რაუნდში არჩეულ კალათბურთელებზე.

გოგა ბითაძე ინდიანამ მე-18 ნომრად აიყვან და კლუბმა ახალბედისთვის გარანტირებული მაქსიმუმი (120%) შესთავაზა.

ეს ნიშნავს, რომ პირველ სეზონში გოგა 2,82 მილიონ დოლარს მიიღებს, სულ კი 4 სეზონში – 13.64 მილიონს.

ევრობასკეტს ახალი დარბაზით უნდა დავხვდეთ

გერმანიის ქალაქ მიუნხენში გამართულ ფიბა-ევროპის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე საქართველოში ევროპის ჩემპიონატის გამართვის ამბავი რომ გადაწყდა, უკვე ვწერდით. ევროპული კალათბურთის მმართველი ორგანოს გადაწყვეტილება ფიბა-ევროპის პრეზიდენტმა თურგაი დემირელმა გამოაცხადა და ქართულ დელეგაციას მიულოცა.

საქართველო მომავალი ევრობასკეტის თანამასპინძელი იქნება გერმანიასთან (ბერლინი, კიოლნი), იტალიასთან (მილანი) და ჩეხეთთან (პრაღა) ერთად. ამ 4 ქვეყანაში ევრობასკეტის თითო ჯგუფის თამაშები ჩატარდება, ხოლო ფინალურ ეტაპს, ჯგუფებიდან გასული გუნდების შემადგენლობით, გერმანია უმასპინძლებს.

თბილისი პირველად არ უმასპინძლებს ევროპის ჩემპიონატს. 1965 წელს ევროპის ჩემპიონატის მატჩები, რომელსაც საბჭოთა კავშირმა უმასპინძლა, მოსკოვსა და თბილისში ჩატარდა. თბილისმა ბ ჯგუფს უმასპინძლა, სადაც ყველაზე გამორჩეული გუნდი იუგოსლავია იყო, რადიოვე კორაჩი ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა, ხოლო იუგოსლავიამ საბოლოოდ ვერცხლის მედლები მოიგო.

თბილისში ითამაშეს: იუგოსლავიამ (ვერცხლის მედალოსანი), პოლონეთმა (ბრინჯაოს მედალოსანი), საბერძნეთმა, ბულგარეთმა, ესპანეთმა, საფრანგეთმა, გფრ-მ და შვედეთმა.

ჩემპიონი საბჭოთა კავშირის ნაკრები გახდა, რომელშიც 2 ქართველი იყო – ზურაბ საკანდელიძე და ამირან სხიერელი.

ახლა მთავარია, სად ვუმასპინძლებთ ევროპის ჩემპიონატს. სადღეისოდ, თბილისში არსებული არცერთი არენა ევრობასკეტის დონეს არ აკმაყოფილებს. უნდა აშენდეს ახალი და ეს ჩვენი დელეგაციის მიერ მიწოდებულ კლიპშიც ჩანს, რომელიც მიუნხენში აჩვენეს.

2021 წლის კალათბურთის ჩემპიონატისთვის თბილისში, დიღმის ახალი სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე აშენდება ახალი, მრავალფუნქციური სპორტის სასახლე, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და იმ მოთხოვნებს, რომლებიც კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციას ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის მიმართ გააჩნია.

კოლხეთს სანქცია ემუქრება

კოლხეთს სანქცია ემუქრება

ფოთის კოლხეთის ბედის ბორბალი უკუღმა ჯერ კიდევ გასულ წელს დატრიალდა, როდესაც ზღვისპირული გუნდის ფეხბურთელები საფეხბურთო მატჩების მანიპულირებაზე ამხილეს.

შარშან კოლხებს 6 ქულა დააკლდათ, ფინანსურადაც დაჯარიმდნენ, ფეხბურთელების დისკვალიფიკაციამ კი გუნდის თამაშზეც იმოქმედა და მან უმაღლესი ლიგა დატოვა.

მიმდინარე წელს, ეროვნულ ლიგა 2-ში კოლხეთი კი გამოდიოდა, ალბათ ადგილსაც შეინარჩუნებდა, მაგრამ თავი ახალმა პრობლემაც იჩინა. გუნდმა ვერ გადაიხადა სახელფასო დავალიანება და მორიგი სანქცია ემუქრება.

ამის შესახებ ჟურნალისტებს კოლხეთის დირექტორმა ზაზა ინაშვილმა განუცხადა.

ზაზა ინაშვილი:

– კლუბმა დათქმულ დროს ფეხბურთელების სახელფასო დავალიანება ვერ გადაიხადა. დიდი ალბათობით, ფოთის კოლხეთი 1913-ს 6 ქულა მოაკლდება. სპონსორული შემოწირულობები არის მიზერული, რაც არანაირ დავალიანებას არ ჰყოფნის. მე ახალი დანიშნული დირექტორი ვარ. ჩემდა სამწუხაროდ, ვერანაირად ვერ დავეხმარე გუნდს და უახლოეს მომავალში მივიღებ გადაწყვეტილებას, დავრჩები თუ არა გუნდში ამ პოზიციაზე.

საფეხბურთო კლუბ ფოთის კოლხეთს 15 ივლისს უნდა დაეფარა გასულ სეზონში მოასპარეზე ფეხბურთელების დავალიანება. საუბარია 45.000 ლარზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი სპორტულ-ტექნიკური კომისია აამოქმედებდა სანქციას და გუნდს 6 ქულა დააკლდებოდა.

ამჟამად კოლხეთი მე-2 ლიგაში მე-8 ადგილზეა. 6 ქულის დაკლების შემთხვევაში ამავე პოზიციას კი შეინარჩუნებს, მაგრამ საქმეს ძალიან გაირთულებს.

მანჩესტერის სამიზნეები

მიმდინარე სატრანსფერო ფანჯარა ოლე გუნარ სოლსკიაერის მანჩესტერ იუნაიტედისთვის გრძელდება. კლუბი, აარონ ვან ბისაკასა და დენიელ ჯეიმსის შემდეგ კიდევ რამდენიმე ტრანსფერს აანონსებს.

ბრიტანული მედია წერს, რომ ედ ვუდვორდი პორტუგალიურ სპორტინგისთვის ბრუნო ფერნანდეშის თაობაზე ახალ წინადადებას ამზადებს. გლეიზერების გუნდი

მზად არის პორტუგალიელ ფეხბურთელში 55 მილიონი ევრო გაიღოს.

ბრუნოს მის ამჟამინდელ კლუბთან მიმდინარე ხელშეკრულება 2023 წლამდე აკავშირებს. პრესა აქტიურად წერს იმაზე, რომ ახალგაზრდა ნახევარმცველი დიდი ალბათობით სწორედ იუნაიტედში გააგრძელებს კარიერას.

გავრცელდა ცნობები იმის შესახებაც, რომ „წითელი ეშმაკებისთვის“ მთავარი ტრანსფერი ლესტერიდან ცენტრალური მცველის ჰარი მაგუაიერის ტრანსფერია, ხოლო „მელიებთან“ მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, მათთვის წინა პლანზე სწორედ ფერნანდეშის ტრანსფერი გადაინაცვლებს.

იუნაიტედი სერგეი მილინკოვიჩ-სავიჩის ტრანსფერზეც აგრძელებს მუშაობას და ლაციოს ახალ შეთავაზებას უმზადებს.

იტალიური მედიის ცნობით, რომაელებმა 80-მილიონიანი წინადადება დაბლოკეს და 100 მილიონ ევროს ფეხს არ უცვლიან. გამოცემა ვარაუდობს, რომ იუნაიტედის მორიგი შეთავაზება 90-დან 100 მილიონ ევროს ოდენობის იქნება.

24 წლის სერბ ნახევარმცველს ინტერი, იუვენტუსი და პსჟ-ც ეპატიჟებიან, თუმცა, მათგან განსხვავებით, „წითელ ეშმაკებს“ გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმული აქვთ.

სერგეი მილინკოვიჩ-სავიჩს „ლაციალესთან“ კონტრაქტი 2023 წლის ზაფხულამდე აკავშირებს.

აბურჯანია ტვენტესკენ მიიწევს, ლობჟანიძე ბრონდბიუს უნდა

ორ ქართველ ფეხბურთელს აქვს შანსი უკეთეს ევროპულ კლუბში გადავიდეს. დავიწყოთ გიორგი აბურჯანიათი...

ჰოლანდიური მედია წერს, რომ შეთანხმება თითქმის მიღწეულია და ქართველი ნახევარმცველი ენსხედეს ტვენტეს ფეხბურთელი გახდება. თუმცა, ეს უფრო იჯარა უნდა იყოს. მოგეხსენებათ, აბურჯანია ესპანური სევილიის საკუთრებაა და მისი ჰოლანდიურ კლუბში განათხოვრება სურს.

აბურჯანიას აქამდე რუსთავის მეტალურგში, გორის დილაში, თბილისის ლოკომოტივში, ფამაგუსტის ანორთოსისში, ტარაგონის ხიმნასტიკში, სევილიას მე-2 გუნდსა და ლუგოში უთამაშია. აბურჯანია 24 წლის გახლავთ და საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 12 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

სწორედ ანორთოსისიდან იცნობს საქართველოს ნაკრების ფეხბურთელს ტვენტეს დირექტორი ვან ლიუენი, რომელიც ადრე ფამაგუსტური გუნდის ტექნიკური დირექტორი იყო.

მე-2 ქართველი ასევე ნაკრების წევრი საბა ლობჟანიძეა, რომლის გადაბირება დანიური რანდერსიდან სკანდინავიურ გრანდ ბრონდბიუს სურს.

თუმცა, რანდერსის სპორტულმა დირექტორმა სორენ პედერსენმა განაცხადა, რომ ბრონდბიუს შეთავაზება მათთვის საინტერესო არ არის.

საქმე ის არის, რომ ბრონდბიუ ლობჟანიძის სანაცვლოდ 500.000 დოლარს იხდის, პედერსენი ამბობს, რომ დანიური გრანდის ფსონი მათთვის ეკონომიკურად მიმზიდველი არ არის.

სორენ პედერსენი:

– ბრონდბიუს არ შემოუთავაზებია იმდენი, რომ ჩვენთვის საინტერესო ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, ჩვენ მათ უარი ვუთხარით. ლობჟანიძეს აქვს განვითარების რესურსი, აქედან გამომდინარე, მის მომავალ კლუბს საბას უფრო ძვირად გაყიდვა შეეძლება, ხოლო ჩვენ არ გვინდა ასეთი ფეხბურთელი ვინმეს ვაჩუქოთ.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

შედეგები

15 ივლისი
ფეხბურთი

ჩუხეთი. პრემიერლიგა

ლოკომოტივი-რუბინი 1:1

რუბინის გოლი ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა

ჩეხეთი. 1 ლიგა

ზლინი-სლავია..... 0:1

დანია. სუპერლიგა

ჰობრო-ორხუსი 1:1

შვედეთი. ალსვენსკა

სუნდსვალი-ჰამარბი 2:3

ჰელსინბორგი-სირიუსი 1:0

ნოიეგია. ელიტსერია

სტაბეკი-საპრსბორგი 3:3

ელ-ხალიფი ბარსას შეთავაზებაზე იცინის

ბარსელონას რომ პსჟ-დან ნეიმარის დაბრუნება სურს, არახალია. ამ თემაზე რამდენიმე თვეა, იწერება და, დიდი ალბათობით, ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება.

ესპანური მედიის ინფორმაციით, ბარსას მესვეურებმა ბრაზილიელის შესაძენად ახალი გეგმა შეიმუშავეს. ესპანური გრანდი მზადაა, პსჟ-ს 40 მილიონი გადაუხადოს და, ამასთან ერთად, უსმან დემბელე და ფელიპე კოუტინიოც დაუთმოს.

როდესაც პსჟ-ს პრეზიდენტმა ნასერ ელ-ხალიფმა ამის შესახებ შეიტყო, გაეცინა და თქვა, რომ ნეიმარს 300 მილიონ ევროზე ნაკლებად არ შეელევა.

თუმცა, ესპანური მედია იმასაც წერს, რომ მოლაპარაკებების პირველი ეტაპი არაოფიციალური იყო და ნეიმარის შესაძლო ტრანსფერში ძალიან ბევრი ადამიანია ჩართული, კლუბების ხელმძღვანელები კი ერთმანეთს არ შეხვედრიან.

პარიზელთა სპორტულმა დირექტორმა ლეონარდომ ცოტა ხნის წინ ნეიმართან დაკავშირებით ასეთი კომენტარი გააკეთა:

– ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ მხოლოდ ერთი რამ არის ფაქტი – ნეიმარს ჩვენთან კონტრაქტი კიდევ 3 წლით აკავშირებს და რაკი შესაბამისი წინადადებით არავის მოუმართავს, ვერაფერზე ვილაპარაკებთ.

ბრაზილიელი ფეხბურთელი პსჟ-ში 2017 წლის ზაფხულში ბარსელონიდან 222 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა. წინა სეზონში სუპერვარსკვლავმა 28 მატჩი ჩაატარა და 23 გოლი გაიტანა.

საათმა Apple Watch-მა მამაკაცი სიკვდილს გადაარჩინა

ინგლისის დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ ოლდემის მცხოვრებმა Apple Watch-ს საათის წყალობით შეიტყო, რომ პულსის აჩქარება ჰქონდა და ამის წყალობით დროულად მიიღო სამედიცინო დახმარება.

2018 წლის სექტემბერში 22 წლის სტუდენტი ჯორჯ კოქსმა შენიშნა, რომ მშვიდ მდგომარეობაში ყოფნისას მისი მაჯისცემა წუთში 130 დარტყმას აღწევდა.

– Apple Watch-ი მაჯისცემას აფიქსირებს, – განმარტა მამაკაცმა, – ეს იმ დროს მემართებოდა, როდესაც ტელევიზორს ვუყურებდი ან ვთვლემდი. ვფიქრობდი, რომ ეს დიდ რაოდენობით ყავის მიღების ბრალი იყო. ბევრ ყავას ვსვამდი გამოცდებისთვის მზადებისას სიმხნევისთვის.

ნოემბერში კოქსი ტონზილექტომიისთვის ემზადებოდა და მედდას აჩქარებული მაჯის ცემის შესახებ უთხრა.

– მან მკითხა, გულთან დაკავშირებით პრობლემები ხომ არ მქონდა, – იხსენებს ბრიტანელი, – მან დაჟინებით მოითხოვა ჩემი გასინჯვა.

ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოავლინა, რომ პაციენტს აორტის სარქვლის უკმარისობა ჰქონდა.

ექიმებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კოქსი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და შესაძლოა ნებისმიერ მომენტში გარდაცვლილიყო. მიმდინარე წლის მაისში ბრიტანელმა წარმატებით გადაიტანა ხუთსაათიანი ოპერაცია და ახლა უკვე სახლში გადის გამოჯანმრთელების კურსს.

– ღმერთო, როგორ მიხარია, რომ Apple Watch-ს საათი მაქვს. მის გარეშე ვერ გადავრჩებოდი, – დაასკვნა კოქსმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბრაზილიაში ყალბი ლამბორჯინისა და ფერარის ქარხანა აღმოაჩინეს

ბრაზილიის სანტა-კატარინას შტატის პოლიციამ ფერარების და ლამბორჯინების ასლების მწარმოებელი საწარმო აღმოაჩინა. მათი ყიდვა ინტერნეტით რეალური მოდელის ფასის რვა პროცენტად იყო შესაძლებელი.

სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით, კუსტარული წარმოება ქალაქ იტაჟის ერთ-ერთ შენობაში იყო განთავსებული, ხოლო მიწოდება მთელი ქვეყნის მასშტაბით წინასწარი შეკვეთით ხდებოდა. არალეგალური ბიზნესით მამა-შვილი იყო დაკავებული, რომელთა ვინაობა გასაიდუმლოებულია. ისინი პოლიციამ დააკავა, მაგრამ შემდეგ გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლა.

იატაკქვეშა საწარმოში ჩატარებული ჩხრეკის დროს რვა თითქმის გამზადებული სუპერკარი იქნა აღმოჩენილი, ასევე ფორმები სხვადასხვა ნაწილების ჩამოსასხმელად.

ბავშვები გატაცებული მანქანით პოლიციას გაექცნენ და 900 კილომეტრი გაიარეს

ავსტრალიაში ბავშვებმა გაიტაცეს ავტომობილი და 900 კილომეტრი გაიარეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული პორტალი ავრცელებს.

სხვადასხვა ოჯახის ბავშვებმა ერთ-ერთის მშობლის კუთვნილი ყველგანმავალი გაიტაცეს და კვინსლენდის შტატის ქალაქ გრეისმერიდან გავიდნენ. მანქანაში სამი 13 და 14 წლის ბიჭი და ერთი 10 წლის გოგონა იმყოფებოდა. მათ თან მხოლოდ სათევზაო ანკესები და ფული წაიღეს. ერთ-ერთმა ბიჭმა მშობლებს დაუტოვა წერილი, რომელშიც დაწერა, რომ მიდიოდა.

140 კილომეტრის გავლის შემდეგ ისინი ქალაქ ვანანის მახლობლად ავტოგასამართ სადგურზე გაჩერდნენ, მანქანა საწვავით შეავსეს და ფულის გადაუხდელად მიიმალნენ. რამდენიმე საათის შემდეგ ყველგანმავალი, რომელშიც არასრულწლოვანები ისხდნენ, პოლიციელებმა ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ გლენ-ინესში შენიშნეს. ისინი გარკვეული დროის განმავლობაში მათ მისდევდნენ, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტეს, დევნა შეეწყვიტათ.

ამის შემდეგ არასრულწლოვანებმა ქალაქ გრაფტონამდე ჩააღწიეს, რომელიც ორი საათის სავალზეა გლენინესიდან და ათი საათის სავალზე ქალაქ გრეისმერიდან. პოლიცია ვარაუდობს, რომ მანქანას ბავშვები რიგრიგობით მართავდნენ.

გზის პირას გაჩერებულ ავტომობილს ქალაქ გრაფტონთან მიაგნეს. ბავშვებმა მანქანიდან გადმოსვლაზე უარი განაცხადეს და კარები ჩაკეტეს. ამის გამო პოლიციელებს ხელკეტის გამოყენება დასჭირდათ შიგნით შესაღწევად. მათ, სავარაუდოდ, მშობლების თანდასწრებით დაკითხავენ.

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატში მამაკაცმა მორიგ ჯერზე შეიძინა 20 დოლარიანი ლატარიის ბილეთი და მილიონი დოლარი მოიგო.

ლატარიის მოყვარულმა თამაშის წაუგებელ ტაქტიკას მიაგნო და გამდიდრდა

ჰავაის შტატის მკვიდრი მაიკლ სტრონგი ამტკიცებს, რომ ხშირად ჩამოდის ჩრდილოეთ კაროლინაში მდებარე საკუთარ სახლში და მისი შეკეთებითაა დაკავებული. ერთ-ერთი მორიგი ჩამოსვლის დროს მან 20 დოლარიანი ლატარიის ბილეთი იყიდა.

– გადავწყვიტე ისე 20 დოლარიანი ლატარიის ბილეთით შეთამაშა, ვინაიდან მათ ჩემთვის წარმატება მოაქვთ, – ამბობს მამაკაცი, – მათით ყოველთვის ვიგებ. ბოლო დროს 27-დან 26 შემთხვევაში მოვიგე.

სტრონგის თქმით, მისი მეგობრები მის იღბლიანობაზე ხუმრობენ. სწორედ მათ ურჩიეს, რომ ისევ შეეძინა 20 დოლარიანი ბილეთი.

– მცირე ხნით მოვწყდი ღობის მშენებლობას, ბილეთი ვიყიდე და მილიონი დოლარი მოვიგე, – განაცხადა იღბლიანმა ამერიკელმა.

ლატარიის გამარჯვებული მოგებული თანხით ვალების დაფარვას და ინვესტიციას გეგმავს.

პენსიონერი თავისი ძაღლის გადასარჩენად ალიგატორს შეებრძოლა

ამერიკის ქალაქ პალმ-ჰარბორის მცხოვრებმა მამაკაცმა თავისი ოქროსფერი რეტრივერი აგრესიული ალიგატორისგან დაიცვა.

რეპტილიის თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც 75 წლის მამაკაცი გუბურის მახლობლად თავის ძაღლთან ერთად სეირნობდა. ალიგატორმა რეტრივერს პირი სტაცა, მაგრამ პენსიონერმა უკან არ დაიხია და მას ფეხით ცემა დაუწყო. მანამდე ურტყა რეპტილიას, ვიდრე მან ძაღლს პირი არ გაუშვა.

იმავე დღეს შემთხვევის ადგილზე ბუნების დაცვის კომისიის წარმომადგენლები მივიდნენ და ალიგატორი დაიჭირეს. მისმა სიგრძემ 2,44 მეტრი შეადგინა. ამ შემთხვევის შედეგად არც ძაღლი და არც ალიგატორი არ დაშავებულა.



მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

17 ივლისისთვის

ვერძი – იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ტყუპები** – კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** – კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. **სასწორი** – სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **ღრიანცელი** – გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებათ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რქა** – სულიერი და მატერიალური აღმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მერწყული** – მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თევზები** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 2. ბრიტანული ყველი; 3. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 5. რკინის მადნიდან გამოდნობილი, ნახშირბადის შემცველი ლითონი; 6. მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 8. საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 11. აეროპორტი ბრიუსელში; 13. ანგლიკანური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი; 14. ძველბერძენი ფილოსოფოსი; 15. აღორძინების ეპოქის იტალიელი ფერმწერი; 19. თეატრის მსახიობთა კოლექტივი.

თარაზულად: 1. რაიონული ცენტრი აჭარაში; 4. მოღალატე, ვერაგი ადამიანი; 7. რბილი ხაოს მქონე აბრეშუმის ქსოვილი; 9. ქართული ჟურნალი; 10. ბელგიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 12. ბერძნული ფილოლოგიის მკვლევარი მეცნიერი; 16. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი; 17. ჟურნალ „პლეიბოის“ დამფუძნებელი; 18. გასართობი თავსატეხი; 20. გულუბრყვილო, მიმნდობი ადამიანი; 21. ციტრუსოვანი ხილი; 22. ნეფე-დედოფლის თანმხლები პირები.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თავთუხი; 2. საბურთალო; 3. გრუნდიგი; 4. ხრიდოლი; 5. ფრანკი; 9. შვეცია; 11. ვერმელი; 12. ჟიგოლო; 14. ნიამორი; 18. ოტელო; 19. შაორი.

თარაზულად: 1. ხორავა; 5. ფელამუში; 6. ბრერა; 7. თიბათვე; 8. ყურუში; 10. წნევა; 13. ხანუკა; 15. თუშეთი; 16. გომი; 17. პინო; 20. მერანო; 21. ბოტასი; 22. კოლიბრი; 23. როკაპი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰუნდაი; 2. ეგზემა; 3. ვარჯი; 5. ვეძა; 6. დოლარი; 8. იადონი; 11. მაჟესტიკი; 13. გლუკოზა; 14. იაშვილი; 15. მოდრიჩი; 19. დოჟი.

თარაზულად: 1. ჰაჯიბეკოვი; 4. ჰონვედი; 7. ნოვრუზი; 9. ჯაკარტა; 10. იმამი; 12. ბროსნანი; 16. რიგოლეტო; 17. პუნსონი; 18. კვაზიმოდო; 20. კამვოლი; 21. კაფი; 22. მიუზიკლი.

კულინარიული კუთხე

ძროხის ხორცის ჩახოხბილი

მასალა: ძროხის ხორცი (სუკი) – 1 კილოგრამი; პამიდორი – 1 კილოგრამი; კარაქი – 3 სუფრის კოვზი; ხახვი – 4-5 თავი; მწვანილი – 3-3 ძირი; მარილი – გემოვნებით.

მომზადება: ქონისა და ძარღვებისაგან გავანთავისუფლოთ ძროხის სუკი, გავრეცხოთ და დავჭრათ პატარა ნაჭრებად. ჩავყაროთ ქვაბში, დავამატოთ კარაქი, ხახვი და ერთად მოვხრაკოთ, გარეცხილი პამიდორი დავმდუღროთ, კანი მოვაცილოთ, დავჭრათ და მოვათავსოთ მოხრაკულ ხორცში. როცა მზად იქნება, შევანელოთ მარილით, მწვანილით (ქინძი, ოხრახუში, კამა, რეჰანი).

❖❖❖

ცხვრის ხორცის ჩახოხბილი

მასალა: ცხვრის ხორცი – 1 კილოგრამი; ხახვი – 500 გრამი; პამიდორი – 1 კილოგრამი; მწვანილი (სხვადასხვა) 3-3 ძირი; მარილი – გემოვნებით.

მომზადება: ცხვრის ხორცი დავჭრათ საშუალო ზომის ნაჭრებად, გავრეცხოთ, ჩავდოთ ქვაბში და ოდნავ მოვშუშოთ. როცა წვენი შეაშრება, დავაყაროთ რგოლებად დაჭრილი ხახვი. თუ ხორცი მსუქანი არ არის, დავამატოთ ცოტა კარაქი და კიდევ ვშუშოთ. დავასხათ გაფცქვნილი და დაჭრილი პამიდორი. ვხარშოთ, სანამ ხორცი კარგად მოიხარშება.

შევანელოთ მარილითა და მწვანილით.

❖❖❖

ერბო-კვერცხი ნიგვზით

მასალა: კვერცხი – 2 ცალი; ნიგოზი – 300 გრამი; ერბო – 1 სუფრის კოვზი; ლიმონი, მარილი – გემოვნებით.

მომზადება: 2 კვერცხი გავთქვიფოთ, დავაყაროთ მარილი, დანაყილი ნიგოზი, ავურიოთ და დავასხათ ერბომოსხმულ ტაფაზე. როცა შეიწვება, სუფრაზე მივიტანოთ დაჭრილ ლიმონთან ერთად.

❖❖❖

კარტოფილი ბოსტნეულის ფარშით

მასალა: კარტოფილი (საშუალო სიდიდის) – 6 ცალი; სტაფილო – 200 გრამი; ნიახური – 100 გრამი; კალნაბი – 200 გრამი; მცენარეული ზეთი – 2 სუფრის კოვზი; პამიდვრის წვენი – 1 ჭიქა; ოხრახუშის ფოთოლი და მარილი – გემოვნებით.

მომზადება: გასუფთავებული, გარეცხილი სტაფილო და ნიახური დავჭრათ წვრილად, მოვათავსოთ ქვაბში, დავუმატოთ მარილი, მცენარეული ზეთი და ცოტა ხანს ვშუშოთ. შემდეგ შევურიოთ პატარ-პატარა თავაკებად დანაწილებული კალნაბი, წვრილად დაჭრილი ოხრახუში, კარტოფილის რბილობი, მცენარეული ზეთი და ვშუშოთ, სანამ არ მომზადდება.

ერთნაირი სიდიდის კარტოფილი გავრეცხოთ, გავთალოთ, მოვაჭრათ ცალი გვერდი და კოვზით ამოვაცალოთ რბილობი. ასეთნაირად გამზადებული კარტოფილი ამოვავსოთ მოშუშული ბოსტნეულით, მოვათავსოთ ღრმა ტაფაში, დავასხათ ცოტა მდუღარე წყალი და მოვხარშოთ. ხარშვის დასასრულს დავუმატოთ პამიდვრის წვენი.

❖❖❖

ფიფქები

მასალა: რძე – 2,5-3 ჩაის ჭიქა; კვერცხი – 4 ცალი; შაქრის ფხვნილი – 120 გრამი; ვანილიანი შაქარი.

მომზადება: კვერცხის გულები და ცილა გავაცალკევოთ, ცილა ავთქვიფოთ ქაფის მიღებამდე, შევურიოთ 60 გრამ შაქრის ფხვნილს. რძე ავადუღოთ, დავუმატოთ ვანილი. მდუღარე რძეში სუფრის კოვზით ჩავდოთ ცილის მასა, 2-3 წუთის შემდეგ ქაფქირით ამოვაწყოთ ისინი საცერზე. კვერცხის გულები ავთქვიფოთ დარჩენილ შაქრის ფხვნილთან ერთად და გავაზავოთ რძით, რომელშიც იხარშებოდა ფიფქები, დავდგათ ცეცხლზე და მორევით მივიყვანოთ ადუღებამდე. როცა ეს მასა გასქელდება, ცეცხლიდან გადმოვდგათ, გავაციოთ და მოვასხათ ფიფქებს.

ოთარ იოსელიანი: „რუსებსა და ქართველებს ვერავინ წაგვაჩხუბებს“

85 წლის ქართველი რეჟისორი ოთარ იოსელიანი დარწმუნებულია, რომ რუსებსა და ქართველებს ვერავინ წააჩხუბებს.

ამის შესახებ განცხადება რეჟისორმა საფრანგეთში ჩასულ რუსულ ტელეკომპანიასთან ინტერვიუს დროს გააკეთა. ოთარ იოსელიანმა გიორგი გაბუნიას განცხადებაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ დიდი პატივია ამაზე ლაპარაკი:

– ეს ინციდენტი როგორც გაჩნდა, ისე გაქრება. პუტინმა სამართლიანად ბრძანა, დიდი პატივია ამაზე ლაპარაკი.

ნამდვილად სამარცხვინო ლაქაა, მაგრამ, როგორც იტყვიან, „ყველა ოჯახში ერთი მახინჯია“, რას ვიზამთ.

ჩვენ იმდენი რამ გვაქვს საერთო და იმდენ ხანს ვიყავით ერთად, რომ ქართველებსა და რუსებს ვერავინ წააჩხუბებს.

მგზავრებმა მატარებლის ქვეშ ჩავარდნილი ქალი გადაარჩინეს

ინდოეთის გუჯარათის შტატის ქალაქ ახმადაბადში მგზავრებმა უბედური შემთხვევის აღკვეთა მოახერხეს.

ინციდენტი რკინიგზის სადგურზე მოხდა. ქალი ცდილობდა დაძრულ მატარებელს დასწეოდა, კართან მიირბინა და შეეცადა შეხტომოდა, მაგრამ ფეხი დაუცდა. შედეგად მისი ფეხი ბაქანსა და მატარებელს შორის ჭრილში აღმოჩნდა. მატარებელი სვლას აგრძელებდა და ქალს მიათრევდა.

ქალს დასახმარებლად სადგურის თანამშრომელი და ბაქანზე მყოფი მგზავრები მისცვივდნენ. მათ ერთობლივი ძალისხმევით მოახერხეს ქალის ბაქანზე ამოთრევა. საბედნიეროდ ქალი უმნიშვნელო დაზიანებებით გადარჩა. აღნიშნული შემთხვევა რკინიგზის სადგურის სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა.

მეთევზემ გველის მიერ დაჭერილი თევზი გაათავისუფლა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონის მცხოვრებმა დაიჭირა თევზი, რომელიც გველს ჰყავდა დაჭერილი. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ამერიკულმა პორტალმა გამოაქვეყნა.

ივლისის დასაწყისში ჩეიზ მაკრეი ჰარისის ოლქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თევზაობდა. მამაკაცმა წყალსატევში შემთხვევით დაიჭირა გველი, რომელიც თევზზე იყო შემოხვეული და მის სხეულზე კბილებით იყო ჩაფრენილი. მან მოულოდნელი ნადავლი ვიდეოზე აღბეჭდა.

– თევზი დანის დახმარებით გავათავისუფლე და წყალში გავუშვი, – იხსენებს მაკრეი, – გველს ჩემი დანისგან მიყენებული რამდენიმე ჭრილობა დააჩნდა, თუმცა ისიც გავუშვი ბუნებაში.

სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება და საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ პროფორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე, შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი

გელა ხელაძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ლევან ბერძენიშვილი: „მავნებლობაა „დედა ენის“ სკოლაში დაბრუნება“

ილიაუნის პროფესორი ლევან ბერძენიშვილი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ სკოლებში დაბრუნების წინააღმდეგია:

– საქართველოს პრემიერ-მინისტრი და განათლებისა და კიდევ ბევრი რამის მინისტრი მავნებლობას ჩადიან, როდესაც სკოლაში გოგებაშვილის სახელმძღვანელოს აბრუნებენ.

ენა ყოველდღიურად იცვლება და ბავშვმა თანამედროვე ენა უნდა ისწავლოს. დაბრმავება არ იკმარეს და ახლა ჩვენს შვილებს დამუნჯებას უპირებენ.

ბატონო ლინგვისტებო, მეცნიერებო, ამოიღეთ ხმა ამ უვიცობის წინააღმდეგ!

ლევან ბერძენიშვილის მოსაზრებას იზიარებს მომღერალი და მუსიკოსი ნიაზ დიასამიძე:

– ბარემ ქალთა და ვაჟთაც აღვადგინოთ და ეგ არის. აი ია...

იაკობ გოგებაშვილის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, პირიქით! მაგრამ ის თავის ეპოქაში სწავლობდა ბავშვების მოთხოვნილებებს და მათთან ერთად აყალიბებდა ანბანის იმ მომენტისთვის სახალისო ვერსიას, ანუ დღეს სულ სხვაგვარ დედაენას გააკეთებდა... აი-ფონი!

საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილმა ხელმძღვანელმა გია ჭანტურიამ კი განაცხადა, რომ იაკობ გოგებაშვილი ისე არაა დაფასებული, როგორც იმსახურებს:

– იაკობ გოგებაშვილი არაა დაფასებული ისე, როგორც იმსახურებს! და დღეს საერთოდ გადაუსვეს ხაზი! მაშინ, როდესაც 20 კაციდან ერთმა თუ იცოდა წერა-კითხვა, იაკობი გაეცნო მაშინდელი მსოფლიოს განათლების სისტემებს, მეთოდოლოგიებს და იმ დროისთვის ერთ-ერთ საუკეთესო, გერმანულ განათლების სისტემასა და სწავლების მეთოდებზე დაყრდნობით მართლაც და გენიალური ქართული სახელმძღვანელო შექმნა!

დიახ, „დედა ენა“ იმ დროს იყო უებარი წამალი გაუნათლებლობის! თავისივე სიცოცხლეში რამდენიმეჯერ დახვეწა და დროს მიუსადაგა.

ახლა რომ ცოცხალი იყოს, იცით, რას იზამდა? იმავეს! ისევ შეისწავლიდა მსოფლიოში წარმატებულ სწავლების მეთოდებს და გაქართულებულ ვერსიას შექმნიდა!

ერთადერთი, რასაც არ იზამდა, იმ თავის „დედა ენის“ ვერსიას ნამდვილად არ დააბრუნებდა სკოლაში! ეცით პატივი იაკობს, იარეთ მისი გზით!

დათო ტურაშვილი: „უხ, როგორ მიყვარს უბრალო და ნამდვილი ადამიანები...“

მწერალი დათო ტურაშვილი უბრალო და ნამდვილ ადამიანებზეა შეყვარებული:

– უხ, როგორ მიყვარს უბრალო და ნამდვილი ადამიანები... უბრალოები და ნამდვილები ურთიერთობაში, უბრალოები და ნამდვილები ყველაფერში.

ადამიანები, რომლებსაც არ ეშინიათ სულელური შთაბეჭდილების დატოვების, არ ეშინიათ შტერობის თქმის და შემდეგ საკუთარი თავის დაცინვის.

ასეთი ადამიანების გვერდით ვიხსნებით და ვთავისუფლდებით, იმიტომ რომ ქვეცნობიერად ვხვდებით, აქ არ არის საჭირო „ტიპობა“ და „მასკი შოუ“, აქ ყველა ნამდვილია, ყველა შინაურია.

ჯაბა ბოჯგუას ოჯახს ახლა ყველაზე მეტად უჭირს

მომღერალ ჯაბა ბოჯგუას ოჯახს ახლა ყველაზე მეტად უჭირს. მისი დედა მანანა გვასალია აცხადებს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი ბებია მათი ერთადერთი მარჩენალი იყო:

– დედაჩემი ჩვენთვის ყველაფერი იყო, ფაქტობრივად, მეც და ჯაბასაც ის გვაცოცხლებდა.

ახლა, ისე მიჭირს, როგორც არასდროს. ასეთ დროს თქვენი ყველა სიტყვა თუ დახმარება ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია.

სიტყვები არ მყოფნის, როგორ გადაგიხადოთ მადლობა ჩემი მწუხარების გაზიარებისთვის, თანადგომისთვის და ყურადღებისთვის.

საოცარო ადამიანებო, მეგობრებო, მეზობლებო, ემიგრანტებო, მიყვარხართ, მეამაყებით და მეიმედებით! გახარებული ჰყოლოდეთ მუდამ თქვენს შვილებს, მშობლებს და თქვენს ოჯახებს!

უფალმა დაგლოცოთ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პითონი ზოოპარკის თანამშრომელს თავს დაესხა

ტრინიდადი და ტობაგოს ქალაქ პორტ-ოფ-სპეინში პითონმა ზოოპარკის ზედამხედველს უკბინა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც ზედამხედველმა იმ ტერარიუმის კარი გააღო, რომელშიც ვეფხვისებური პითონი ალბინოსი, სახელად მდოგვი, იმყოფებოდა. მან ქვეწარმავალს შესაჭმელად კურდღელი მიუტანა, მაგრამ მან მას ყურადღება არ მიაქცია, თავს დაესხა მამაკაცს და მუცელში ჩააფრინდა.

ზედამხედველს თანამშრომელი მიეხმარა, მან გველი კოლეგას მოაშორა და მის ისევ ტერარიუმში დაბრუნებაში დაეხმარა. მამაკაცმა მცირე ტრავმა მიიღო და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ სწრაფადვე დაუბრუნდა სამუშაოს. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეს მის კარიერაში პირველი ასეთი შემთხვევა არაა. ზოოპარკში 27-წლიანი მუშაობის განმავლობაში მისთვის არაერთხელ უკბენია სხვადასხვა სახეობის გველს.

ნაპოვნია ანომალიურად დიდი მედუზა



ინგლისის კორნუოლის საგრაფოს სანაპირო წყლებში ანომალიურად დიდი მედუზა აღმოაჩინეს.

ბიოლოგი ლიზი დეილი საქველმოქმედო კომპანიის ფარგლებში წყალში ყვინთვით იყო დაკავებული, როდესაც მან შენიშნა მედუზა, რომელიც მისი სხეულის ზომის იყო.

– კასრისებური მედუზები საკმაოდ დიდები არიან და ამიტომაც იწვევენ დიდ ინტერესს, – აღნიშნა ზღვის ფაუნის მკვლევარმა ღუპერტ კირკვუდმა.

მოსალოდნელია, რომ წყლის სიღრმეში აღმოჩენილი უზარმაზარი მედუზა ნაპირზე ზაფხულის ბოლოს ან შემოდგომაზე გამოირიყოს.

კასრისებურმა მედუზამ შესაძლოა 90 სანტიმეტრს მიაღწიოს დიამეტრში, ხოლო წონამ 35 კილოგრამი შეადგინოს. ეს სახეობა ადამიანისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ტუალეტში შესული ქალი გველს გადააწყდა

ამერიკის ტენესის შტატის მცხოვრებმა კრესტენ კიფერტმა საკუთარი სახლის ტუალეტში, უნიტაზში ცოცხალი გველი აღმოაჩინა. ამის ამსახველი ვიდეო ქალმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

აღნიშნული ინციდენტი ქალაქ ჩატანუგაში მოხდა.

– ამას ვერც კი წარმოვიდგენდი. სახიფათო გველი ჩემ ტუალეტში იმყოფებოდა, ძალიან შევშინდი, – დაწერა კიფტერმა, – როდესაც ასეთი შემთხვევის შესახებ ტელევიზორიდან იგებ, ვერ წარმოიდგენ, რომ მსგავსი რამ შეიძლება შენც შეგემთხვას.

ქალმა საზოგადოებას მოუწოდა, რომ მეტი ყურადღება გამოიჩინონ და უნიტაზი ყოველთვის გულდასმით დაათვალიერონ, სანამ მასზე დაჯდებიან.

სოციალური ქსელის მომხმარებლებმა ქალს ურჩიეს, დახმარებისთვის ცხოველთა კონტროლის სამსახურისთვის მიემართა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

17 ივლისისთვის

- აშშ დოლარი — 2.8608
- ევრო — 3.2107
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5551
- 100 რუსული რუბლი — 4.5596

ამინდის პროგნოზი 17 ივლისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

9 ივლისიდან

ჯეიმს ფენიმორ კუპერი

ჯაშუში

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

16 ივლისიდან

ელეონორ პორტერი

პოლიანა

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ანეკდოტი

ერთი ნაცნობი მეორეს ეკითხება:

– რისთვის დაგიჭირეს?

– ქრთამისთვის.

– და რატომ გამოგიშვეს?

– შენ, რა, სულელი ხარ?

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემი მეზობელი, ნამდვილი სულელი და ზარმაცია. ჭურჭელი რომ არ დარეცხოს, ცელოფანს აკრავს, ხოლო ჭამის შემდეგ ხსნის და ნაგავში აგდებს. ასე რომ, თეფშს გარეცხვა არ სჭირდება...

– მართლა? გენიოსი ყოფილა!

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ასეთი დაღლილი და დამწუხრებული სახე რატომ გაქვს?

– მუშაობა... მუშაობა... სულ მუშაობა... დილით და საღამოს...

– და დიდი ხანია ასე მუშაობ?

– ხვალიდან ვიწყებ.

•••

დედა ქალიშვილს ეკითხება:

– იმედია, შენი ახალი მეგობარი მამაკაცი წესიერი ადამიანია?

– რა თქმა უნდა, დედა. არ სვამს, არ ეწევა, ცოლი და ორი ბავშვი ჰყავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დიეგო კოსტა, შესაძლოა, ფლამენგოში გადავიდეს

მადრიდის ატლეტიკოს ფორვარდი დიეგო კოსტა, შესაძლოა, ბრაზილიურ ფეხბურთის გრანდში, ფლამენგოში გადავიდეს სათამაშოდ.

კოსტას ბოლო პერიოდში ატლეტიკოს ხელმძღვანელობასთან და დიეგო სიმეონესთან ურთიერთობა დაეძაბა, ამიტომ მადრიდული გუნდი მისი გაყიდვის წინააღმდეგი არ არის. კოსტა წარმოშობით ბრაზილიელია, მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის მოქალაქეობა აქვს და ესპანეთის ნაკრებშიც თამაშობდა.

ატლეტიკოში მან თავისი კარიერის დიდი ნაწილი გაატარა და 2014 წელს ესპანეთის ჩემპიონატი მოიგო.

ბეილის ყიდვა ტოტენჰემს სურს

ლონდონის ტოტენჰემი გარეთ ბეილის დაბრუნებაზე ფიქრობს და მზად არის, ფეხბურთელში 70 მილიონი ევრო გადაიხადოს.

ბეილი რეალში მხოლოდ მაღალი ხელფასის გამო აპირებს დარჩენას და კარგად იცის, რომ მომავალ სეზონში ძირითად შემადგენლობაში არ იქნება. ამის მიზეზი კი ზინედინ ზიდანთან უთანხმოებაა.

ტოტენჰემში ბეილმა სახელი გაითქვა, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ეს მისი მშობლიური კლუბია. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით ბეილი რეალის დატოვებას არ აპირებს და მზად არის, ფეხბურთის მაგივრად გოლფი ითამაშოს.

პოგბა, შესაძლოა, მანჩესტერ იუნაიტედში დარჩეს

მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგმა ფეხბურთელმა პოლ პოგბამ, შესაძლოა, გუნდი არ დატოვოს. პოგბას დარჩენა პირადად ოლე გუნარ სოლსკიაერმა სთხოვა.

აქამდე ხშირად იწერებოდა იმაზე, რომ პოგბა ზაფხულში ან იუვენტუსში, ან რეალში გადავიდოდა, მაგრამ, შესაძლოა, ეს ასე არ მოხდეს.

გარდა ამისა, მანჩესტერი პოგბას 180 მილიონზე ნაკლებად არ ყიდის და ამ თანხის გადახდა არც ერთ კლუბს არ სურს.

მოამზადა ბექა გოგისაშვილმა

აარონ რემზიმ იუვენტუსზე კომენტარი გააკეთა



აარონ რემზი უკვე თავის ახალ გუნდთან, იუვენტუსთან ერთად ვარჯიშობს და ამ გუნდზე პირველი კომენტარიც გააკეთა.

რემზის თქმით, მან იუვენტუსს უარი ვერ უთხრა, თუმცა არსენალიდან წასვლა იოლი არ იყო: – არსენალში 10 წელიწადი გავატარე და ამ გუნდთან ერთად უამრავი რამ გამოვცადე, ამიტომ აქედან წასვლა რთული იყო, მაგრამ იუვენტუსის დონის გუნდში თამაშის შანსი ხშირად არ გეძლევა, ამიტომ ეს შანსი უნდა გამომეყენებინა. ვფიქრობ, ძირითად შემადგენლობაში ადგილს დავიმკვიდრებ.

მამამ შვილი დაღუპვას საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა

ამერიკის ფლორიდის შტატში მამაკაცი თავისი გოგონას გადარჩენის დროს მბრუნავ დინებაში მოყვა და დაიღუპა.

46 წლის ტომას ზაკრევსკი ოჯახთან ერთად ფლორიდის სანაპიროსთან მდებარე ერთ-ერთ კუნძულზე ისვენებდა. რამდენიმე ადამიანი, მათ შორის ბავშვები, სანაპიროზე თამაშობდნენ, როდესაც წყლის მიქცევა დაიწყო. მამაკაცმა და მისმა რვა წლის გოგონამ წყლიდან ამოსვლა ვერ მოასწრეს.

გოგონას დედამ პოლიციელებს განუცხადა, რომ ნათესავები გაჰყავდა და მეუღლის და ბავშვის არყოფნა მაშინვე ვერ შენიშნა. როდესაც მან უკან მიიხედა, შენიშნა, რომ ისინი დინებას ებრძოდნენ და მათ დასახმარებლად გაიქცა. მეუღლემ მისთვის ბავშვის გადაცემა მოასწრო და ერთ წამში წყალქვეშ გაუჩინარდა.

სამი საათის შემდეგ მყვინთავებმა მამაკაცის ცხედარს შემთხვევის ადგილიდან 800 მეტრში მიაგნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. რაიმეს მარაგი; 2. სასულიერო სასწავლებელი ძველად; 3. ეგრისის სამთავროს მთავარი ქალაქი; 4. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. შტატი აშშ-ში; 9. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 11. პაემანი, შეხვედრა; 12. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 14. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში; 18. მოკლე, ალეგორიული მოთხრობა; 19. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში.

თარაზულად: 4. მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალების მწარმოებელი ქართული ფირმა; 5. გემის ხელსაწყოების ერთობლიობა; 6. ლეშის მჭამელი აფრიკული ცხოველი; 7. სხეულის ხელოვნური ნაწილი; 8. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 10. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 13. მიწაყრილი, რომელზეც რკინიგზის რელსებია დაგებული; 15. ფრანგი მოდელიორი; 16. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 17. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, უნგრელი მოკრივე; 20. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 21. ავსტრალიური თუთიყუში; 22. „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად მთარგმნელი ინგლისელი ქართველოლოგი; 23. თაღლითი ბანქოს თამაშში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ХАН ЧАН ЗАН + МА ИН ЦОН

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ЖИЗН ЗИ ЗАН

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

ВУЙ ФУ ДИ ЖУАНЬ ЗАН + СУН СУО

აუმჯობესებს პოტენციას

ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/